სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 მაისი 2008 №114 (3338) ფასი 50 თეთრი

ჯიგარო

საქართველოს ნაკრებში მე უნდა დავრჩე!



ყველას დიდ მადლობას ვუხდი, რადგან ოცნება ამიხდა – მე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ!

... ბევრი რამ უნდა დავასრულო, რაც აქამდე იყო ნაკრებში. ყველა ისე არ იხარჯებოდა, როგორც უნდა დახარჯულიყო. ეს უნდა დამთავრდეს!

... საქართველოში რომ ჩამოვედი, აქ შემარქვეს პირველად „დარტანიანი". რუსეთთან მოგების მერე კი ახალი მეტსახელი გამიჩნდა: „ჯიგარო". იმედი მაქვს, ამ „ჯიგაროს" ეროვნულ ნაკრებში მუშაობითაც გავამართლებ.

... ფეხბურთელებს კლუბებში ფულს უხდიან, ნაკრებში კი მათ გულით უნდა ითამაშონ. ხალხსაც სწორედ ამის დანახვა უნდა!

... ჩვენს მომავალს ეიფორია და გმირები სჭირდება!

დაიბადა 1966 წლის 8 მაისს ხორვატიის ქალაქ დურდევაცში.

ფეხბურთელის კარიერა: 1977-78 — „ჰირსაუ"; 1978-82 — „ქალვი"; 1989-90 — „პლოხინგენი"; 1990-91 — „შვაინკჰაიმი"; 1991-92 — „ალმერსბახი".

სამწვრთნელო განათლება: 1993 — B ლიცენზია (რუიტი, გერმანია); 1995 — A ლიცენზია (ჰენეფი, გერმანია); 2001 — უეფას ლიცენზია (კიოლნი, გერმანია).

სამწვრთნელო კარიერა: 1992-93 — „ვალდჰოფი" (ახალგაზრდული გუნდი); 1996-97 — „ბოხუმი" (ახალგაზრდული გუნდი); 1997-2000 — „დუისბურგი" (ახალგაზრდული გუნდი; მთავარი გუნდის სამწვრთნელო შტაბი); 2000-01 — „ვალდჰოფი" (ახლგაზრდული გუნდი; მთავარი გუნდის მწვრთნელის თანაშემწე); 2001-03 — „რიდი" (მთავარი მწვრთნელი); 2003-04 — „ვინერ შპორტკლუბი" (მთავარი მწვრთნელი; სპორტული დირექტორი); 2006 — საქართველოს ეროვნული ნაკრები (სამწვრთნელო შტაბი), 2007-დან — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი



საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი II წრე. 26 ტური

კობა შალამბერიძის ამ გოლის არჩათვლამ ამერელები აღაშფოთა

გადრი ქუთელაძის ფოტო

ზესტაფონი. 20 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 4 500 მაყურებელი

ზესტაფონი 3:1 ამერი

1:0 ვიეირა (9), 1:1 გოცირიძე (45), 2:1 გელაშვილი (60), 3:1 ნ. კვასხვაძე (90)

ზესტაფონი	ამერი
რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, შ. ღონღაძე (სანტოსი 53), რ. ონიანი, უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, ვიეირა (ბიტოო 81), ნ. კვასხვაძე, დაუშვილი, გელაშვილი, ბ. გოცირიძე (იონანიძე 75)	ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, მესხი, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (შალამბერიძე 64), დეკანოსიძე (სილაგავა 84), რ. გოცირიძე (ჩიმაკაძე 81), ტატანაშვილი
სათადარიგონი: ჭანტურია, ჟონატასი, საცერაძე, კამლაძე	*სათადარიგონი:* ქვაჩახია, ხატიაშვილი, გვაძაბია, ხუციძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე	მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: მესხი (21), გელაშვილი (50), შალამბერიძე (65)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. ბერაძე, ზ. ერქვანია, კ. ჭაჭუა

დამკვირვებელი: მ. მალაღურაძე; დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ჟილვან ვიეირას პირველი და ნიკა კვასხვაძის მესამე გოლები

გადრი ქუთელაძის ფოტო

გადრი ქუთელაძის ფოტო

რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს თასის ფინალში?

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

16 მაისს ეს გუნდები „ეროვნულზე" საქართველოს თასის ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მიჯრით მესამე ცდაზე გამარჯვება „ზესტაფონს" დარჩა. ამ შეხვედრაში კი გუნდები, სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, უმოტივაციოდ იყვნენ, თუმც პრინციპულ მეტოქეთა თამაში მაინც თვალსასეირო და დაძაბული გამოდგა, ტემპიც მაღალი იყო.

პირველი იერიში „ამერისა" იყო, კარისკენ გრიგოლ დოლიძემ დაარტყა, თუმცა ვერ დაუმიზნა, მე-9 წუთზე კი მასპინძლები დაწინაურდნენ. ნიკა გელაშვილმა გამოზომილი პასით „ამერის" დაცვა უსაქმოდ დატოვა, ჟილვან ვიეირა კი მეკარესთან პირისპირ დარჩა. ბრაზილიელმა მუხლით თავზე გადაავლო ბურთი ლადო ნადირაშვილს და 1:0.

მე-20 წუთზე კი „ზესტაფონი" გოლს გადაურჩა. რევაზ გოცირიძემ გივი დიდავასგან მიიღო ბურთი და შორი მანძილიდან გაისროლა. როინ კვასხვაძეს დაჭერის შანსი არ ჰქონდა, თუმც მშველელად ხარიხა მოევლინა.

რამდენიმე წუთში გიორგი ხიდეშელის დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა, თბილისელთა საპასუხო შეტევისას კი დოლიძემ გოცირიძე მოძებნა, რომელმაც საჯარიმოში შალვა ღონღაძე მოატყუა, მისგან სარმა მიიღო და არბიტრმა გიორგი კიკაჩეიშვილმა ნაღდ პენალტს წაუყრუა.

მერე ნიკა კვასხვაძემ ბექა გოცირიძე გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, თუმც მისი დარტყმული სუსტი გამოდგა და ლადო ნადირაშვილს აღება არ გასჭირვებია. ტაიმის მიწურულს კი ვიეირამ საგოლე გადაცემაც მიითვალა — ბრაზილიელის უხეირო პასი და, რევაზ გოცირიძეც მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებს დაწინაურებაც შეეძლოთ...

გიორგი დეკანოსიძემ დიმიტრი ტატანაშვილისგან მიიღო ბურთი და ეფექტურად, ქუსლით, გოცირიძე მეკარეს შეატოვა, თუმც კვასხვაძემ არ გაატანინა.

58-ე წუთზე უჩა ლობჟანიძე გაისარჯა კარგად. თავისი ნახევრიდან ატარა ბურთი, გზად რამდენიმე ამერელი ჩამოიცილა, გიორგი დავითნიძემ კი სცადა შეჩერება — ფეხი მიურტყა, თუმც ბურთით ისევ ზესტაფონელი დარჩა და გაიტანა კიდეც, მაგრამ კიკაჩეიშვილმა აქაც შეცდომა დაუშვა, ხელით თამაში აღნიშნა და გოლი გააუქმა...

იმერლებმა ორ წუთში მაინც გაიტანეს — ბექა გოცირიძემ მშვენიერი გადაცემით გელაშვილი დატოვა მეკარესთან პირისპირ და ყოფილმა ვიტელმაც გაიტანა — 2:1.

სამ წუთში, ამჯერად გელაშვილის გადაცემით, გოცირიძე გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, თუმც ნადირაშვილმა იმარჯვა.

თბილისელებიც თავისას ცდილობდნენ და კიდევ ერთი საკამათო ეპიზოდი — მარცხენა ფრთიდან გიორგი ელბაქიძემ ჩააწოდა საჯარიმოში და კობა შალამბერიძემ თავით ულამაზესი გოლი გაიტანა. თანამსაჯმა ზურაბ ერქვანიამ ალამი, ვფიქრობთ, შეცდომით აღმართა ალამი და გოლიც არ ჩაითვალა.

ამის შემდეგ მემარნიშვილისა და ტატანაშვილს დარტყმები ასცდა მიზანს.

80-ე წუთზე ნიკა კვასხვაძემ გელაშვილი დატოვა ნადირაშვილთან, მაგრამ მეკარემ იმარჯვა, რამდენიმე წუთში კი ხიდეშელს აუღო უაღრესად სახიფათო თავური.

მატჩის ბოლო წუთზე „ამერის" დაცვა ერთხელაც ჩავარდა — ხიდეშელმა გამოზომილი გადაცემით კვასხვაძეს მისცა მშვენიერი შანსი და — 3:1.

თარხნიშვილი მეხუთედ დათასდა

ძოლდოვური ფეხბურთის მრავალი პრიზის მფლობელმა ვაჟა თარხნიშვილმა კიდევ ერთი მედალი შემატა თავის კოლექციას — ქვეყნის თასი მოიგო.

ტირასპოლის „შერიფმა" ფინალში 1:0 სძლია ატაჩის „ნისტრუს" და უკვე მეხუთედ დაისაკუთრა მოლდოვის თასი.

„შერიფის" ქართველმა კაპიტანმა, რა თქმა უნდა, შეუცვლელად ითამაშა და ნაფინალევს ნაცნობი თასიც აღმართა...

ბაბა შალამბერიძე

ამხანაგური მატჩები

თურქეთი 1:0 სლოვაკეთი
შოტლანდია (U21) 1:4 ნორვეგია (U21)
ალ ნასრი 4:1 რეალი

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXI ტური

ბანსკა ბისტრიცა 0:1 სლოვანი
კოშიცე 2:1 ტრენჩინი
ნიტრა 1:0 რუჟომბეროკი
სენეცი 4:5 არტვედია
ტრნავა 3:1 ჟილინა

შვეიცარია

გადასასვლელი
პლეი ოფი
საპასუხო მატჩი
სენტ გალენი 0:2 ბელინცონა (2:3)

ისლანდია

I დივიზიონი
III ტური

აკრანესი 1:0 ფრამი
რეიკიავიკი 1:2 ბრეიდაბლიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. II წრე. 26 ტური

რა შუაშია სიონი და ჩემპიონთა ლიგა?
ავალიანმა უფროსობას ხელი ჯიბეში ჩააყოფინა

ბოლნისი. 20 მაისი. 17 საათი. თ. სტეფანია. 400 მაყურებელი

სიონი 5:0 მერანი

1:0 ჩასემი (33), 2:0, 3:0 სანიკიძე (39, 73პ), 4:0 ჯიქია (79), 5:0 ავალიანი (90)

სიონი	მერანი
სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ფრიდოლინი, შავგულიძე, ლ. ბაჯელიძე (ნ. ნუგ. ჭელიძე 54), ავალიანი, სანიკიძე (კვიტაიშვილი 86), შ. ქიჯია, ბ. ნოზაძე, ჩასემი. *სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ზ. ჭელიძე, ნაყოფია, ლ. ვაშაკიძე, გ. ოქრობირიძე	**მერანი:** თევდორაძე, კიკალიშვილი, ჭიკაიძე, ახალაია (პატარქალიშვილი 77), მ. კალაძე, აბშილავა, არველაძე, იაგო დეისაძე, ნაკაშიძე, არაყიშვილი, ტიელიძე. *სათადარიგონი:* ჯიხვაძე
მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე	**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: აბშილავა (16), ჯიქია (51), დეისაძე (65)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, გ. ვადაჭკორია

ბოლნისელებმა „მერანი" არ დაინდეს

ნუგზარ ჯავახიშვილის ფოტო

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

თბილისის „მერანის" ფეხბურთელები გაოცებულნი უყურებდნენ მეტოქეს, რომელმაც მეხუთე გოლი რომ გაიტანა, ისე იზეიმა, თითქოს ჩემპიონთა ლიგა მოიგოო.

მართლაც, ბოლო წუთებში ბოლნისელთა სათადარიგოთა სკამზე არავინ მჯდარა, ყველანი ნერვიულად ელოდნენ მეხუთე გოლს, რომელიც იგვიანებდა, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ მაინც გავიდა.

მერანელებისა არ იყოს, მკითხველიც გაოცდება და აგიხსნით: „სიონის" ხელმძღვანელობას ხუთბურთიანი ან მეტი სხვაობით მოგებაზე ჰქონდა პრემიები დაწესებული, 4:0 კი... აგრე სად არის, მაკარისა არ იყოს, მილიონს კაპიკი რომ აკლდეს, მილიონი აღარაა...

მართალია, სამი გოლი ბოლო 17 წუთში გავიდა, მაგრამ არ იეჭვოთ, თითქოს რაღაც ცულლუტობას ჰქონდა ადგილი — ვაი, რომ „მერანი" ძალიან სუსტია, იმდენად სუსტი, რომ ქვემოქართლელებს ორჯერ ხუთიც რომ გაეტანათ, არ გაგვიკვირდებოდა.

რა უნდა მოსთხოვო გუნდს, როცა სათადარიგოთა სკამზე ოდენ ორი ფეხბურთელი ჰყავს და როცა ტრავმირებულს მეტოქე გუნდის ექიმი წამლობს?!

გაფუჭებული მომენტების სიმრავლეზე რომ ვთქვათ, ყველაზე მეტად შოთა ჯიქია „გამოირჩეოდა", ვინაც ღონივრად ჩაატარა პირველი წრე „ბორჯომში", „სიონში" კი აშკარად ვერაა იშტაზე. შოთამ გუშინ კი შეაგდო ერთხელ, მაგრამ რატომ ხუთჯერ არ უნდა გაეტანა?! ხან თავით, ხან ფეხით, ჯიქიას შანსები ეძლეოდა. მისი მეწყვილე ფორვარდი ერიკ რომეო ჩასემი კი უფრო სარგებლიანი იყო: ანგარიში გახსნა, მეორე გოლში ლომის წილი დაიდო და ჯიქიასაც დაურიგა პასები.

წარმოიდგინეთ, საწყის 15 წუთში „სიონი" შვიდი კუთხური ჩააწოდა. ამ პერიოდში ყველაზე აქტიური ბოლნისელთა ზურაბ ავალიანი იყო, ვინაც ორჯერ სცადა შორიდან გატანა, მაგრამ ერთხელ ოდნავ ააცილა, მეორედ კი სტუმართა მეკარე რევაზ თევდორაძემ მოიგერია.

„მერანს" პირველი და უკანასკნელი მომენტი 30-ე წუთზე შეექმნა, როცა ლევან შავგულიძემ ბურთი ცუდად მოიგერია და ზურაბ ტიელიძემ შორიდან დაარტყა, თუმცა სიონელთა მეკარე გიგა იაშვილმა კუთხურზე გადააგდო.

ტაიმის ბოლოს კი ჩასემისა იყო: 33-ე წუთზე მან მერანელ დავით აბშილავას შეცდომა არ აპატია (თავით აწვდიდა ბურთს თევდორაძეს), რეაქტიულივით შევარდა საჯარიმოში, თევდორაძე-აბშილავას შორის გაჩნდა და მეკარეს თავზე გადაატარა ბურთი — 1:0.

რამდენიმე წუთში ჩასემს თავით შეეძლო გატანა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ თევდორაძემ მოიგერია, თუმც კამერუნელმა არ მოისვენა და ლევან სანიკიძეს გაუჭრა პასი, ვინაც საჯარიმოში შევიდა და ახლო კუთხეში ძლიერად დაარტყა — 2:0.

მეორე ტაიმში „სიონი" უფრო გალაღდა, ჯიქიას ჩასემმაც აუწყო ფეხი შანსების განიავებაში. 73-ე წუთზე კი სანიკიძემ თავისივე მონადირებული პენალტი ზუსტად შეასრულა და 3:0, რასაც მალევე გიორგი ჭელიძის პასი და ჯიქიას თითქმის ცარიელ კარში გატანილი მოჰყვა.

მერე კი იყო მასპინძელთა შტურმი, სტადიონზე მოსული 10-12 წლის ბიჭების გაუთავებელი ყიჟინაც და საპრემიო მეხუთე გოლის ლოდინი: ბურთი კარუსელივით ტრიალებდა „მერანის" საჯარიმოში, თევდორაძე რამდენჯერმე გაუმკლავდა დარტყმულებს, მაგრამ ავალიანის 12-13 მეტრიდან გასროლილს ვერაფერი მოუხერხა.

„სიონმა" ბოლო ორ ტურში 10 გოლი გაიტანა და მერვე ადგილზე დაასრულა სეზონი, „მერანის" გავარდნის ამბავი კი გუშინ არ გადაწყვეტილა...

დინამო	26	23	1	2	67:18	70
ვიტ ჯორჯია	26	19	3	4	45:14	60
ზესტაფონი	26	18	5	3	56:16	59
ოლიმპი	26	16	4	6	26:16	52
ამერი	26	15	3	8	48:27	48
მესხეთი	26	11	6	9	29:30	39
მგლები	26	10	3	13	27:33	33
სიონი	26	9	5	12	34:35	32
ბორჯომი	26	9	4	13	32:39	31
ლოკომოტივი	26	7	6	13	27:35	27
სპარტაკი	26	5	8	13	15:28	23
მერანი	26	6	1	19	15:54	19
ბათუმი	26	4	4	18	16:51	16
დილა	26	1	5	20	12:55	8

ბოლნისში ისევ ცხადაძეს ეძახიან

ნუგზარ ჯავახიშვილის ფოტო

როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, ახალი სეზონიდან „სიონი" ისევ კახა ცხადაძემ გაწვრთნას. საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამჟამად ბაქოს „სტანდარდს" თავკაცობს, „სიონში" კი თავისი საუკეთესო სამწვრთნელო პერიოდი გაუტარებია — შარშანწინ ბოლნისელები მისი ხელმძღვანელობით გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები და თასის ნახევარფინალში გადავიდნენ, შარშან კი ასევე იყვნენ ნახევარფინალში. ცხადაძის „სიონმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზეც არცთუ ურიგოდ (ქართული გუნდების კვალობაზე) ითამაშა.

ბოლნისში თამამად ლაპარაკობენ საჩემპიონო გუნდის გაკეთებაზე, სულ მალე ფინანსები გაჩნდება და „სიონს" ცხრილის შუაგულში ნულარ მოძებნითო...

ილია ნანობაშვილი

საბავშვო და სამაჩაბლო

მაისის ბოლოს თამარაშენში, ქურთაში და სამაჩაბლოს სხვა სოფლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ბევრი ღონისძიება იგეგმება და მათ შორის, ერთ-ერთის ორგანიზატორი უეფას პარტნიორი შპს „პეპელაა", რომელიც ბავშვებს ევრო-2008-ის სტიკერებით და ალბომებით დაასაჩუქრებს.

„პეპელა" დიმიტრი სანაკოევის მიწვევით სამაჩაბლოში საქველმოქმედო აქციას ჩაატარებს და ამაში ცხინვალის „სპარტაკის" მოთამაშეებსაც დაიხმარს.

უეფას ქართველი პარტნიორები უკვე თბილისის თითქმის ყველა საფეხბურთო სკოლასთან თანამშრომლობენ. იგეგმება აქციები საჯარო სკოლებშიც.

როგორც ამ ფირმაში გვითხრეს, 7 ათასი ალბომის გაყიდვას და 12 ათასის უფასოდ დარიგებას აპირებენ.

ასე რომ, ფეხბურთის მოყვარულებს და კოლექციონერებს მშვენიერი შანსი ეძლევათ...

ბაჩა შალამბერიძე

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 26 ტური

რატი ალექსიძე დუბლით გამოირჩა

ლოკომოტივმა ერთი წუთი ინერვიულა და უმაღლესში დარჩა

კობა ინასარიძე

...ამას წინათ, როცა გადაწყდა, რომ „ბათუმი“ უმაღლეს ლიგას დაეშვიდობებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბათუმს ესტუმრა, კლუბისა და ადგილობრივი ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდა და შემდეგ ჩვენ გვითხრა, „ბათუმს“ სოლიდური დამფინანსებელი გამოუჩნდა და ალბათ, ლიცენზირების პროგრამასაც წარმატებით გაივლისო. მოკლედ, ფედერაციის პრეზიდენტისა და ბათუმური კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თამაზ ცინარიძის ნათქვამს ერთმანეთზე თუ გადავაბამთ, საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩნდება, რომ ფედერაციისა და პროფლიგის ნებით, „ბათუმმა“ ეგებ უმაღლეს ლიგაში გააგრძელოს თამაში...

ამ დროს კი ზღვისპირელები თბილისში „ლოკომოტივთან“ ბოლო ტურის მატჩისთვის სულ 15 ფეხბურთელით ჩამოვიდნენ და მათ შორის არც სათადარიგო მეკარე იყო. რას და როგორ გადაწყვეტენ პროფლიგა და ფედერაცია, ცოტა ხანში გაირკვევა, ჩვენ კი ბათუმელების გუშინდელი ვოიაჟის გათვალისწინებით, იმედი გვქონდეს, რომ ქართული ფეხბურთის უფროსები სპორტულ პრინციპს არ დაარღვევენ...

გუშინდელი მატჩის ფავორიტად კი, ცხადია, მასპინძლები ითვლებოდნენ, მათ მოიგეს კიდეც და უმაღლესში ადგილი შეინარჩუნეს, მაგრამ ერთი წუთი სანერვიულოც ჰქონდათ. თბილისელები მატჩის დასაწყისშივე რატი ალექსიძემ დააწინაურა, თუმცა მასპინძლებს პირველი ტაიმის დარჩენილ დროში და მეორის ნახევარ საათზე მეტში არაფერი გამოსვლიათ და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც — ლაშა ქებაძემ შორიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთს კი მიხეილ ალავიძე ვერ შესწვდა და, „ლოკომოტივს“ რომ ვერ მოეგო, რუსთავში „სპარტაკის“ გამარჯვება გიორგი კიკნაძის გუნდს პლეი ოფისკენ გააქანებდა.

„ლოკომოტივმა“ საფრთხე იგრძნო, მეტოქის კარისკენ მაშინვე გაიწია და გამოცდილი ფეხბურთელების ყოჩაღობით მალევე ისევ დაწინაურდა. მარჯვენა ფლანგიდან ლევან ცქიტიშვილის ჩაწოდებულს ალექსიძემ თავური მიაყოლა, მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, მაგრამ იქვე თემურ ფარულავას დარტყმულს სტუმართა-გან ვეღარავინ გადაეფარა.

ამასობაში კი გამოაცხადეს, რუსთავში „სპარტაკი“ 0:1 აგებსო და „ლოკომოტივს“ სანერვიულოც აღარაფერი ჰქონდა...

სასწაული უნდა მომხდარიყო, 10 წუთში ცალკე „ბათუმს“ გაეთანაბრებინა ანგარიში, ცალკე „სპარტაკს“ მოეგო. მით უმეტეს, ბოლოსკენ ბათუმელებს არაქათიც გამოეცალათ და მასპინძლებმა კიდევ ორჯერ გაიტანეს.

ჯერ იყო და, ვიტალი დარასელიას პასით რატი ალექსიძემ ჩინებული თავურით გაზარდა ანგარიშში სხვაობა, ხოლო შემდეგ ისევ ცქიტიშვილმა ჩააწოდა და მოედანზე რამდენიმე წუთის შესულმა გიორგი კვახაძემაც ლამაზად გაიტანა...

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. მ. მესხი. 1 000 მაყურებელი

ლოკომოტივი 4:1 ბათუმი

1:0 ალექსიძე (4), 1:1 ქებაძე (77), 2:1 ფარულავა (79), 3:1 ალექსიძე (81), 4:1 კვახაძე (86)

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, ფარულავა, ლ. ჩაგელიშვილი, ქუბილავა (გ. კვახაძე 82), ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, გილაური (ქუცურუა 75), დარასელია, ალექსიძე, დ. ჩაგელიშვილი (ბუდალაშვილი 69)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ბარბაქაძე, ბახტაძე, კაჭახიძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

ბათუმი: თოთლაძე, თევდორაძე, გალოგრე, კ. მახარაძე, ბ. მახარაძე (კაკაბაძე 75), მაკარიანი, ფარტენაძე, ლ. ქებაძე, დემურაძე, ბეჟანიძე (ცანავა 59), ტუღუში (ა. ბაჯელიძე 67)
სათადარიგო: ვ. კუნჭულია
მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია

გაფრთხილება: ფარულავა (59), ჩხეტიანი (79)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. ხარიტონაშვილი

დელეგატი: თ. კუპატაძე

მგლებმა ბორჯომი გადაყლაპა

ზუგდიდი. 20 მაისი. 17 საათი. გ. თუთბერიძე. 400 მაყურებელი

მგლები 4:2 ბორჯომი

1:0, 2:0 კუტალია (8, 19), 3:0 ჭკადუა (22), 3:1 რობვაძე (37), 4:1 ჯანაშია (53), 4:2 გაჩეჩილაძე (83)

მგლები: ივარდავა (ჭითანავა 72), დ. ქირია, გ. ფვანია (ხუხია 46), მაჭავარიანი, კაკაბაძე, გ. ქირია (გ. ექონია), ვართაგავა, ზ. ჯანაშია, ნურწუმია, ჭკადუა, კუტალია
სათადარიგონი: ქომეთიანი, კუჭუხიძე; ჯიშკარიანი, კრასოვსკი
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ბორჯომი: დათუაშვილი (წიქარიშვილი 63), ზ. გოგოლაძე, თედიაშვილი, ნოზაძე, ხარიძე, გაჩეჩილაძე, რობვაძე, ბაქრაძე, კენჭიშვილი, ბურაგია (უ. გოგოლაძე), ხუციშვილი
სათადარიგო: კიკნაძე
მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი

გაფრთხილება: გაჩეჩილაძე (65), ნოზაძე (77)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ს. სპიცინი, კ. გუდურაშვილი, ჯ. ბუიშვილი

სოსო გულუა ზუგდიდიდან

ზუგდიდელებმა მოგებით ჩაამთავრეს ჩემპიონატი და სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმაც გვარიანად ისიამოვნა.

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მე-3 წუთზე მარცხენა ფრთიდან მურთაზ კაკაბაძის ჩაწოდებულს წურწუმიამ უძლიერესად დაარტყა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ცოტაც და, ქირიამ დაარტყა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ მეკარე ბურთს ადგილზე დაუხვდა.

მერე კუტალია გახდა შეუჩერებელი, რომელიც მართლაც საუკეთესო იყო მოედანზე და მე-9 წუთზე ანგარიშიც გახსნა. ასისტენტობა კაკაბაძემ გაუწია.

„მგლების“ შეტევები ამის შემდეგაც არ დამცხრალა და მასპინძლები ისე გაერთვნენ იერიშებით, რომ კინაღამ საკუთარ კარში გაუშვეს, მაგრამ მეკარის შეცდომა მცველმა გამოასწორა.

მე-19 წუთზე კუტალია მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, ჯერ ორი მცველი მოატყუა, მერე მეკარეც და მეკარის ნაცვლად კარში ჩამდგარი მცველიც — ულამაზესი გოლი გამოვიდა.

ამან ბორჯომელები თითქოს გატეხა და თამაშიც მასპინძლების უდიდესი უპირატესობით გაგრძელდა.

22-ე წუთზე მამუკა ჭკადუამ მესამე გოლი გაიტანა სტუმართა კარში.

მასპინძლებმა საქმე, ალბათ, მოთავებულად ჩათვალეს და მოდუნდნენ, რითაც მეტოქეს რამდენიმე კარგი შეტევის გაკეთების საშუალება მიეცა. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას, ზუგდიდელები საჯარიმოსთან დაჯარიმდნენ და რობვაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან ეფექტური გოლი გაიტანა მანუჩარ ივარდავას კარში — 3:1.

შესვენების შემდეგ სურათი საერთოდ არ შეცვლილა — „მგლები“ გამუდმებით უტევდა, ბორჯომელები კი უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს.

53-ე წუთზე კუტალიას პასი ზამირ ჯანაშიამ ზედ საჯარიმოს ხაზთან მიიღო და შეუჩერებლად დაარტყა. ბურთი მარჯვენა ცხრიანში შეფრინდა — 4:1.

სტუმრები ამის მერეღა გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ „მგლების“ დაცვა მაგრად იდგა.

თუმცა ბოლოს „ბორჯომმა“ ერთხელ მაინც იხეირა. ისევ ჯარიმა და ახლა უკვე გაჩეჩილაძემ გაიტანა ჭითანავას კარში.

საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 26 ტური

სპარტაკმა ოლიმპთან გაგრაზე იფიქრა...

რუსთავი. 20 მაისი. 17 საათი. ფოლადი. 700 მაყურებელი

ოლიმპი 1:0 სპარტაკი

1:0 იმედაძე (81)

ოლიმპი	სპარტაკი
ოლიმპი: გ. ლომაია, მახვილაძე, კახელიშვილი, რეხვიაშვილი, გაბედავა (დ. დევდარიანი 55), ჭოჭუა, სილაგაძე, გეწაძე, ორბელაძე, მგელაძე (ხუბუა 78), ომელიანოვი (იმედაძე 60) *სათადარიგონი:* შეყრილაძე, სებისკვერაძე	სპარტაკი: კოდალაევი, ქემოკლიძე, ქორიძე, კუპრეიშვილი, დათუნაშვილი, ბაგაშვილი, ზამთარაძე (მ. ლონდაძე 56), ხიზანიშვილი (ქავთარაძე 46), ტყემალაშვილი, თექთუმანიძე, მედოევი (ვ. კვარაცხელია 64) *სათადარიგონი:* ქვილითაია, ძარია, ხაჭიპერაძე, მამულაშვილი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი	მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

გაფრთხილება: სილაგაძე (42), ქემოკლიძე (78)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ლ. ფანიაშვილი

ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან

ექსჩემპიონმა „ოლიმპმა“ ამ ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში შინ მინიმალური სხვაობით დაამარცხა ცხინვალის „სპარტაკი“. ამ მატჩში გამარჯვება ცხინვალელებს უფრო სჭირდებოდათ, რაკი საპლეიოფო ზონაში იყვნენ — თუ რუსთავში გაიმარჯვებდნენ და თანაც ცხრილში მათ წინ მყოფი „ლოკომოტივი“ „ბათუმთან“ დამარცხდებოდა, ცხინვალელები ბოლოდან მეოთხე ადგილს და, შესაბამისად, გადათამაშებასაც, თავს აარიდებდნენ.

მაგრამ „სპარტაკის“ მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილი ამ თეორიულ არ ენდო და „გაგრასთან“ გადათამაშების მოლოდინში გუნდი „ოლიმპს“ ალარ შეაკლა: ძირითადი შემადგენლობის რვა მოთამაშე დაასვენა, მით უფრო, რომ მათგან ორს ყვითელი ბარათების გამო ისედაც დასვენება „ეკუთვნოდა“.

თამაში დაიწყო და, სტუმრები საკუთარ ნახევარზე გამაგრდნენ, მასპინძლებმა კი შეუტიეს, მაგრამ ისე უნიათოდ, რომ პირველ ტაიმში რეალურად არც დამუქრებიან ბესიკ კოდალაევის კარს. ერთი ეგ იყო, „სპარტაკის“ ისედაც ფხიზელ დაცვას რევაზ გეწაძე მარცხენა ფლანგიდან გარღვევებით კიდევ უფრო აფხიზლებდა. გოლი კი არა, ნამდვილი საგოლე მომენტიც არ ჩანდა, ნაკლებ სახიფათო მომენტები კი „ოლიმპს“ ბარე ხუთი ჰქონდა.

გოლი მეორე ტაიმისთვის გადაიდო...

მეორე ტაიმის დასაწყისში „სპარტაკმა“ შეტევა სცადა, მაგრამ მეტოქის ნახევარზე ვერ დამკვიდრდა. მწვრთნელებმა შეცვლები დაიწყეს და მოედანზე შესულმა ოლიმპელებმა თამაში აშკარად გაახალისეს. ხუთწუთიან მონაკვეთში დავით დევდარიანმა სამჯერ დაარტყა „სპარტაკის“ კარის მიმართულებით და არც გელა ხუბუა და გრიგოლ იმედაძე შესულან სასეირნოდ. ერთი, გიორგი ლომაია იდგა კარში არხეინად. ხუბუამ და იმედაძემ კი მასპინძელთა შეტევა გაამწვავეს და მატჩის ერთადერთი გოლიც მათ შექმნეს 81-ე წუთზე. თუმც ანგარიში იქამდეც შეიძლებოდა გახსნილიყო, როცა წუთით ადრე გეწაძემ ჯარიმიდან პირდაპირ კარში დაარტყა და ბურთი, შესაძლოა შემთხვევით, მაგრამ მაინც გაშლილი ხელით მოიგერია ცოცხალ კედელში მდგარმა ერთ-ერთმა სპარტაკელმა. ალექსანდრე კრიჭაშვილის სასტვენი დუმდა.

ამის მერე იყო, „ოლიმპმა“ მორიგი იერიში რომ წამოიწყო. გიორგი კახელიშვილმა საჯარიმოს გარეთ კარგად დაუგორა ხუბუას და მანაც ცაციათი მძლავრად დაჰკრა, მაგრამ მცველს მოარტყა. გზააბნეული ბურთი ეულად მდგარ იმედაძეს მიუვიდა, ვისაც ახლო მანძილიდან აღარ გასჭირვებია ახმახი კოდალაევისთვის დაბალი დარტყმით გატანა.

თითქოს გოლს ელოდნენო, გახარებული რუსთაველები უფრო მწვავედ ათამაშდნენ და დარჩენილ ათიოდ წუთში კიდევ რამდენიმე მომენტი შექმნეს. გეწაძე კოდალაევთან მარტო დარჩა, თუმც მახვილი კუთხიდან კარში დარტყმას პასი ამჯობინა და მეორე ძელთან იმედაძეს ჩაუკიდა, მანაც თავით სცადა დუბლის შესრულება, მაგრამ კარს გადააცილა...

მაშ ასე, ექსჩემპიონ „ოლიმპს“ მეოთხე ადგილი შეხვდა, მეთერთმეტე საფეხურზე დარჩენილ „სპარტაკს“ კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად 24 მაისს, როგორც ვთქვით, „გაგრასთან“ მოუწევს თამაში.



ხვიჩა ქასრაშვილი

ახალციხე. 20 მაისი. 17 საათი. მ. იაძე. 500 მაყურებელი

მესხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ინასარიძე (75პ), 2:0 სამადაშვილი (78)

მესხეთი	ვიტ ჯორჯია
მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ქობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, თელიაშვილი, ხანიშვილი (ი. თაყაძე 87), ლეკიშვილი, სუდაძე (სამადაშვილი 46), გვირჯიშვილი, ინასარიძე, მუშკუდიანი (ცნობილაძე 84) *სათადარიგო:* ძამუნაშვილი	ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, ყველაშვილი, კობაური, რაზმაძე, ინჯგია (გ. ჯანელიძე 87), მაისაშვილი, კვალინაძე, ბერიაშვილი (ბ. ცხადაძე 46), ლიპარტია *სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი, კასრაძე
მწვრთნელი: კობა თედიაშვილი	მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (49), ყველაშვილი (54), მაისაშვილი (84)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ა. კოკაია, ხ. გაგნიძე

რა მიიღო მესხეთმა? ავტობუსი და 20 000!

მიხეილ ქორქოლიანი ახალციხიდან

დიდებული დღე იყო ახალციხელთათვის. მხოლოდ მოგებას არ ვგულისხმობთ — საქართველოს ჩემპიონატში ბარე ორმა მიიღოს ასეთი საჩუქრები: „აზოტის“ დირექტორმა, წარმოშობით ახალციხელმა ნუგზარ სარჯველაძემ კლუბს ავტობუსი აჩუქა, ხოლო მინერალური წყლის „ფლატეს“ ჩამომსხმელმა იური კუბლაშვილმა ფეხბურთელებს 20 000 ლარი გადასცა...

მასპინძლებს სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი აკლდათ, „ვიტ ჯორჯიამ“ კი მეორე შემადგენლობით ითამაშა და ოქმში ცარიელი ადგილებიც დარჩა — 18 ფეხბურთელს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოუყარა თავი.

მატჩის დაწყების წინ ახალციხეში წვიმამაც დასცხო, მთელი თამაში არ გადაუღია და, რა გასაკვირია, სატურნირო თვალსაზრისით ამ ბევრის არაფრისმომცემ მატჩს ამინდის ჭირვეულობამაც რომ დაატყო ხელი.

ფეხბურთელებმა ერთი ხანი დამბალ მოედანთან შეგუებას მოანდომეს, ტაიმის შუაში კი სამი კარგი მომენტი შეიქმნა. ჯერ იყო და, პაატა გვირჯიშვილს დავით ინასარიძე მეკარესთან პირისპირ გაჰყავდა, მცველი ჩაუხტა, ბურთი გადააგდო, მაგრამ იმავ ინასარიძემ დარტყმა მაინც მოახერხა და ბურთი მეკარის ხელიდან ძელს მოხვდა; სამიოდ წუთში მარჯვენა ფლანგიდან ისევ გვირჯიშვილმა ჩააწოდა, ზურაბ მუშკუდიანმა დაარტყა და ოდნავ ააცილა; ამის მერე ვიტელთა იერიშის ჯერიც დადგა, გიორგი კვილინიძის პასი ირაკლი ბერიაშვილმა მეკარის ბაქანში მიიღო, მაგრამ ბურთის დამუშავებას ბევრი დრო მოანდომა და მცველებმა ააცალეს.

პირველ ტაიმში გამოსარჩევი მეტი არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმში მესხებმა შეტევას ერთი ფეხბურთელიც მიამატეს და თამაშიც უფრო აქტიური გახდა, თუმც პირველი საგოლე შანსი სტუმრებს მიეცათ — ჯაბა ლიპარტია მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გუბემ ხელი შეუშალა და ამასობაში ლევან მერებაშვილიც წამოეწია.

ამის მერე მასპინძელთა მომენტები იყო — ხანიშვილის ჩაწოდებულს მუშკუდიანი ვერ შესწვდა, არადა, კარის წინ მარტო იყო დარჩენილი. მომდევნო ორი მომენტი კი ახალციხელებმა გოლებად აქციეს.

ვიტელი მცველების უხეიროდ მოგერიებული ბურთი გვირჯიშვილს მიუვიდა, სამი მეტოქე ჩამოიშორა, საჯარიმოში კი გიორგი პირველმა წააქცია. პენალტი ინასარიძემ დაარტყა — მეკარე ერთ კუთხეში გადახტა, ბურთი მეორეში შეფრინდა.

მეორე გოლიც გვირჯიშვილის აქტიურობას მოჰყვა — მის ჩაწოდებულს გურამ სამადაშვილი შორ ძელთან დაუხვდა და ეფექტურადაც გაიტანა.

თამაშიც, ფაქტობრივად აქ დამთავრდა. „მესხეთს“ თავი მეტად აღარ გამოუდია, „ვიტ ჯორჯია“ კი გამტანი არ იყო...

ვარჯიში და ორი გოლი

გორი. 20 მაისი. 17 საათი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

დილა 0:2 დინამო

0:1 გ. კაშია (11), 0:2 ოდიკაძე (22)

დილა	დინამო
დილა: კეჩხუაშვილი, ტლაშაძე, გვეტაძე, რატიანი, მინდიაშვილი, ლომიძე (კირკიტაძე 70), ნოზაძე, გაგნიძე (შატაკიშვილი 46), გიორგობიანი, იჩქითი (მარიამიძე 90), სადალაშვილი *სათადარიგონი:* დადიანიძე, თუშმალიშვილი, ბალიაშვილი	დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია (თომაშვილი 68), კრშკო, გველესიანი, დიღმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი, ქანთარია (ჯიშკარიანი 82), აკირემი (ფირცხალავა 72) *სათადარიგონი:* ლოსაბერიძე, დობეში, ჯოხაძე, ნერგაძე
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი	მწვრთნელი: დუშან უჰრინი

გაფრთხილება: რატიანი (48), შ. კაშია (80)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, მ. ურუშაძე

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო. „დილას“ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ მხოლოდ ათი წუთი გაუწია წინააღმდეგობა „დინამოს“, შემდეგ კი სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა და მე-11 წუთზე თბილისელებმა ანგარიშიც გახსნეს. დავით ოდიკაძემ მარჯვენა ფრთიდან კუთხური ჩააწოდა, შეტევაში ჩართულმა გურამ კაშიამ კი ყველას დაასწრო და თავით გაიტანა.

„დინამომ“ შეტევა განაგრძო და მალე მეორე გოლიც გაიტანა. 22-ე წუთზე ოდიკაძემ ამჯერად მარცხნიდან შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბურთი მასპინძელთა კარის შორეულ კუთხეში ისე გავიდა, არავის შეხებია.

ამის შემდეგ თბილისის „დინამო“ უფრო ვარჯიშობდა, ვიდრე თამაშობდა...

მეორე ნახევარიც „დინამოსი“ იყო.

„დილას“ მხოლოდ ერთი საგოლე შანსი ჰქონდა, როცა სადალაშვილი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და გამჭოლი გადაცემა გააკეთა კარის გასწვრივ, ქრისტეფორე შატაკიშვილი ნახტომში მისწვდა ბურთს, მაგრამ ახლოდან არაზუსტად დაარტყა.

დარჩენილ დროში დინამოელები ცდილობდნენ, ჩემპიონატის ბომბარდირ მიხეილ ხუციშვილისთვის როგორმე კიდევ მიეცათ გატანის შანსი, თითქმის ყველა შეტევა მისთვის პასით მთავრდებოდა. ხუციშვილს მართლაც შეეძლო ორჯერ გატანა, მაგრამ მისი თავურები არაზუსტი იყო.

88-ე წუთზე კი „დილა“ კვლავ გადაურჩა გოლს: გულვერდ თომაშვილის პასით დავით ოდიკაძემ შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ააცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტარ სეგრტი მართლა

ჯერ გული, მერე ფული... ჩვენ ეიფორია და გმირები გვჭირდება... ემოციები, აუცილებლად ემოციები! მე საქართველოში უნდა დავრჩე

„ووووووووو, კატასტროფაااა!“ — აი, ასე დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია საქართველოს ეროვნული ნაკრების დროებითმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა, როცა პორტუგალიის მაისურაში გამოწყობილი ერთი ჩვენი კოლეგა დაინახა. დინჯიც და ემოციურიც, მხიარულიც და სერიოზულიც — ასეთი იყო ხორვატი მწვრთნელი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, ნაკრებში დანიშვნით გამოწვეული სიხარულის დამალვა რომ უჭირდა...

27 და 31 მაისს საქართველოს ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი აქვს — ტალინში ესტონეთთან და ვიზეუში პორტუგალიასთან. საამმატჩებოდ სეგრტმა 34 ფეხბურთელი გამოიძახა და მათგან საბოლოოდ 24-ს აარჩევს.

ვერ გეტყვით, რა იქნება ესტონეთ-პორტუგალიასთან თამაშების შემდეგ, მაგრამ შეგვიძლია გითხრათ, რა უნდა სეგრტს ესტონეთ-პორტუგალიასთან თამაშების შემდეგ: მე ნაკრებში უნდა დავრჩე! დიახ, აი, ასეთი რიხით იწყებს საქმეს პეტარ სეგრტი...

მეკარეები

1. გიორგი ლომაია (ოლიმპი)
2. გიორგი ლორია (დინამო)
3. გიორგი მაკარიძე (დინამო)
4. რევაზ თევდორაძე (მერანი)
5. როინ კვასხვაძე (ზესტაფონი)
6. ზურაბ მამალაძე (გაბალა, აზერბაიჯანი)

მცველები

7. კახა კალაძე (მილანი, იტალია)
8. მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)
9. ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი)
10. ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი)
11. უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი)
12. ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი)
13. გიორგი ნავალოვსკი (ანჟი, რუსეთი)
14. ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)

ნახევარმცველები

15. ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია)
16. ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი)
17. დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი)
18. ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)
19. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
20. ლევან ყენია (შალკე, გერმანია)
21. გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი)
22. დავით ოდიკაძე (დინამო)
23. ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)
24. დავით დევდარიანი (ოლიმპი)
25. მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია)

თავდამსხმელები

26. გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა)
27. რატი ალექსიძე (ლოკომოტივი)
28. ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია)
29. დავით მუჯირი (ლოკომოტივი, რუსეთი)
30. დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი)
31. ბექა გოცირიძე (ზესტაფონი)
32. რევაზ ბარაბაძე (ანჟი, რუსეთი)
33. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
34. ვახტანგ ფანცხავა (ლე მანი, საფრანგეთი)







— ყველას დიდ მადლობას ვუხდი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და საერთოდ მთელ ქვეყანას, რადგან ოცნება ამიხდა — მე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ! ამ ორ წელიწადში, რაც საქართველოში დღემდე გავატარე, თქვენგან უამრავი სიკეთე მივიღე და მინდა, ეს სიკეთითვე გადაგიხადოთ. მინდა, ის გამარჯვებები მოგცეთ, რასაც მთელი ქვეყანა ელის...

...მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რამდენიმე კანდიდატთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, თუმცა ჯერჯერობით შეთანხმება ვერ ხერხდება. ამის გამო გადაწყდა, რომ ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩებში გუნდს მე ვუხელმძღვანელებ. ეს 34-კაციანი სია ჩემი შედგენილია — უკვე ათი დღეა, ეს სია მაქვს, მაგრამ აქამდე არ ვაცხადებდით. ტრავმების ალბათობაც გავითვალისწინეთ, თან დღეს საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურია და კიდევ ერთხელ დავაკვირდები ბიჭებს. სანაკრებო სიაში 17 ფეხბურთელია საქართველოს ჩემპიონატიდან, რადგან ვფიქრობ, რომ ქართული ფეხბურთის მომავალი სწორედ აქ არის. რამდენიმე ფეხბურთელი ახალგაზრდული ნაკრებიდანაც მოვიწვიე — მათ კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, დაიმსახურეს ეს შანსი. ცხადია, ნაკრებში არიან ჩვენი სახელიანი ლეგიონერებიც...

...უკვე შევხვდი და ველაპარაკე ზურაბ ხიზანიშვილს, ლევან ცქიტიშვილს და რატი ალექსიძეს. გუშინ ლევან კობიაშვილს და ალექსანდრე იაშვილსაც დავურეკე. შეკრებაზე ვნახავ კახა კალაძეს და მალხაზ ასათიანს. კალაძეს ტრავმა აქვს და მისი თამაში 90 პროცენტით გამორიცხულია, მაგრამ ის აუცილებლად ჩამოვა თბილისში და ბაზაზეც მოვა. კალას ნაკრების ექიმები გასინჯავენ და საბოლოო პასუხსაც მერე გავიგებთ...

...ნაკრების მომზადების კონკრეტული გეგმა გვაქვს. საერთოდაც, ბევრი რამ უნდა დავასრულო, რაც აქამდე იყო ნაკრებში. ამ ორ წელიწადში ყველა ისე არ იხარჯებოდა, როგორც უნდა დახარჯულიყო. ამ ყველაფრის გამო ბოლო სამი თამაში წავაგეთ და ეს უნდა დამთავრდეს!

...ვისაც ჩემთან ურთიერთობა ჰქონდა, ყველამ იცის, რომ დიდ ყურადღებას ვაქცევ დისციპლინას. მე აქ გატარებულ დროში მოვასწარი იმ პრობლემების დანახვა, რაც ქართველებს აწუხებთ — ფეხბურთელებს მკაცრად უნდა მიუდგე! ისე არ გამიგოთ, თითქოს ტირანიის დამყარებას ვაპირებ, უბრალოდ, ქართველების მენტალიტეტი ვიცი, ხორვატულს ჰგავს. აქ მოედანზე მკაცრი უნდა იყო, მოედნის გარეთ კი მეგობრული. ეს ყველაფერი უკვე ვუთხარი კობიაშვილს, ცქიტიშვილს, იაშვილს და ხიზანიშვილს. კალაძესაც ვეტყვი და სხვებსაც. ისინი დადებითად შეხვდნენ ამას და მზადყოფნაც დამიდასტურეს. თავადაც უკმაყოფილონი არიან შექმნილი მდგომარეობით...

...გუნდი ხვალ შეიკრიბება. პირველ დღეს 27 ფეხბურთელი მეყოლება და დილით სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. 22 მაისამდე კობიაშვილის გარდა ყველა ჩამოვა. კობის და „შალკეს“ მწვრთნელს ველაპარაკე და გადავწყვიტეთ, რომ ლევანი პირდაპირ ტალინში ჩავა. ესტონეთ-პორტუგალიაში წასაყვან 24 ფეხბურთელს 24 მაისს გამოვაცხადებ...

...23 მაისს აფხაზეთის ფეხბურთის 100-წლისთავია და ნაკრებში მოწვეულთაგან 18 ფეხბურთელი ითამაშებს აფხაზეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში „ეროვნულზე“. ამ თამაშში მათ კიდევ ერთხელ დავაკვირდები. მინდა, ყველა ფეხბურთელმა გაითვალისწინოს, რომ მე სულ სხვა სტილი მაქვს, აბსოლუტურად განსხვავებული იმისგან, რაც ნაკრებში აქამდე იყო. გაფართოებული სიაც იმიტომ გამოვაცხადეთ, რომ თუ ვინმე იმედს გამიცრუებს ესტონეთში, შინ დაბრუნდება და პორტუგალიაში სხვა წამოვა. სავიზო საკითხები გადაწყვეტილია და ფეხბურთელის სწრაფად შეცვლა ჩვენთვის პრობლემა არ იქნება...

...დღეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა — ექვსი თვე გავიდა, რაც ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად რუსეთი დავამარცხეთ. მაშინ არც მიფიქრია, რომ ექვსი თვის შემდეგ ნაკრებში დავინიშნებოდი... კიდევ ერთხელ ვუხდი დიდ მადლობას ქართველ ხალხს!

...საქართველოში რომ ჩამოვედი, აქ შემარქვეს პირველად „დარტანიანი“. რუსეთთან მოგების მერე კი ახალი მეტსახელი გამიჩნდა: „ჯიგარო“. იმედი მაქვს, ამ „ჯიგაროს“ ეროვნულ ნაკრებში მუშაობითაც გავამართლებ...

...ახლა ვერ ვიტყვი, რომ ამ ორ თამაშს აუცილებლად მოვიგებთ, მაგრამ გპირდებით, რომ რაც გამაჩნია, ყველაფერს გავიღებ, რათა კარგი შედეგი მივიღოთ...

...ესტონეთ-პორტუგალიასთან სათამაშოდ მზადება უკვე დიდი ხანია, დავიწყეთ. ამ გუნდების თამაშების შვიდი ჩანაწერი უკვე მაქვს, დღე-დღეზე ჩემს მეგობარ სლავენ ბილიჩს კიდევ ერთხელ დავურეკავ — მის ხორვატიის ნაკრებთან იყო წინა შესარჩევ ჯგუფში ესტონეთი და დამატებით ინფორმაციას გამოვკითხავ. ზუსტად გვაქვს დაგეგმილი ავიარეისებიც და ვიცით ისიც, რომელ დღეს როგორი ამინდი იქნება ტალინსა და ვიზეუში. მოკლედ, ყველანაირად მზად ვართ და ახლა ფეხბურთელების დახმარებაც მჭირდება — მარტო ვერაფერს გავხდები...

ასეთი ვრცელი სიტყვის შემდეგ პეტარ სეგრტმა ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა...

— ახალგაზრდულ ნაკრებში თქვენი მუშაობის სტილი ვიცით. იქ კარგად აუღეთ ალღო ახალგაზრდებს და როგორ ფიქრობთ, ეროვნულ ნაკრებში არ გაგიჭირდებათ იგივეს გაკეთება?

— ტაქტიკური სიახლეების და-

საქართველოს ნაკრების დებიუტანტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარტყანიანივით იქცევა

რაც მთავარია: დაივიწყეთ კლაუს ტოპმიოლერი!







ხვეწას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება. თუმცა კალაძეს, ასათიანს, ხიზანიშვილს, კობიაშვილს, ცქიტიშვილს და ასეთ ფეხბურთელებს სიახლეების გაგება და მიღება, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ. ნაკრების ლიდერებთან ტაქტიკაზეც მქონდა ზოგადი საუბარი და დაახლოებით იციან, რას მოვითხოვ. დანარჩენს ვარჯიშებზე დავამუშავებთ. თავიდან ახალგაზრდულ ნაკრებშიც მქონდა პრობლემა — ბიჭები მე არ მიცნობდნენ, მე კიდევ მათი შესაძლებლობები არ ვიცოდი. ამ ყველაფრის გამოსასწორებლად დრო დამჭირდა. ყველამ იცით, როგორ ვუდგები საქმეს ახალგაზრდულში, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მათგანაც ბევრს ვითხოვ. აი, ამ დროს უკვე აღარ მაქვს „ჯიგაროს“ სახე. ეს კარგად იციან ბიჭებმა და იმედი მაქვს, ახლაც ასე იქნება. მე მჯერა მათი და იმედია, კარგად ვიმუშავებთ. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს კლუბებში ფულს უხდიან, ნაკრებში კი მათ გულით უნდა ითამაშონ. ხალხსაც სწორედ ამის დანახვა უნდა!

— დავუშვათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ ორი თამაშის შემდეგაც შემოგთავაზათ ნაკრებში დარჩენა. რა იქნება თქვენი პასუხი?

— ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ფედერაცია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა ჩემი სახელი კარგ კონტექსტში დავამახსოვრო საქართველოს. ნორმალურად ვუყურებ იმ პროცესს, რომელშიც ახლა ფედერაციაა ჩართული, ამ ორ თამაშზე კი პასუხისმგებელი მე ვარ. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა.

— რატომ არ გამოიძახეთ ნაკრებში ჯაბა კანკავა და დავით სირაძე?

— ჯაბა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ტრავმა აქვს. სირაძესთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, რამდენჯერმე ოჯახშიც ვესტუმრე, როცა ტვინის შერყევა ჰქონდა, ასე რომ, მისი არგამოძახება სხვანაირად არ უნდა გაიგოთ. უბრალოდ, მინდა, განსაკუთრებული შანსი მივცე რატი ალექსიძეს. და კიდევ: ახალგაზრდული ნაკრებიდან რევაზ ბარაბაძე მოვიწვიე. ბოლო თამაშებში ის უგოლოდ არ ტოვებს მოედანს და მინდა, მასაც მივცე შანსი. ალექსიძე, ბარაბაძე და სირაძე ერთი სტილის თავდამსხმელები არიან და ამიტომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ სირაძეს, გოგუას, შაშიაშვილს და სხვა ფეხბურთელებს აღარ დავეყრდნობით. ახლა კი მე აქცენტი საქართველოს ჩემპიონატზე გავაკეთე — ამით მე ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშეებს გარკვეულ მინიშნებას ვაძლევ.

— რას იტყვით ალექსანდრე ამისულაშვილზე, რომელიც რუსულ პრემიერლიგაში საკმაოდ კარგად თამაშობს?

— მე ამ სიაში მყავს ფეხბურთელები, რომელთა თამაშიც უშუალოდ მაქვს ნანახი. თუ დავრჩები, მინდა ბევრი რამ შევცვალო და ისე არ გავაკეთო, როგორც კლაუს ტოპმიოლერი აკეთებდა. ყოველ პარასკევ-შაბათ-კვირას ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ვესწრები, შუა კვირაში კი ევროპაში წავალ, უკრაინაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერებს ჩავაკითხავ და პირადად შევხვდები ყველას. ქართველები პირად ურთიერთობებს დიდ ყურადღებას აქცევენ და მათ ეს სჭირდებათ. ყველას შევხვდები და პირადად დაველაპარაკები. მინდა, მათ დავანახო, რომ სულ სხვა გზით წასვლას ვაპირებ...

— ახალგაზრდულ ნაკრებში დეკიზი „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“ გქონდათ. ეროვნულში რას აპირებთ?

— იგივეს, ეს ხომ ზედგამოჭრილი დევიზია საქართველოსთვის. ცოტა მაცადეთ, უკვე ვიცი, რაც უნდა ვუთხრა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს. ფეხბურთი ემოციის გარეშე არ არსებობს და, სამწუხაროდ, ადრე ეს არ გვქონდა. ნაკრების ლიდერებმა ესეც დამიდასტურეს. გთხოვთ, ცოტა ხანი მაცადოთ...

...ორი წელიწადია, აქ ვცხოვრობ. თქვენთან ერთად ცუდიც განვიცადე და კარგითაც ვისიამოვნე. არ დამავიწყდება, რა სიტუაცია იყო ქვეყანაში რუსეთთან თამაშის წინ. ნოემბრის ამბებს ტელევიზორში რომ აჩვენებდნენ, გერმანიიდან უამრავმა მეგობარმა დამირეკა — ჩამოდი აქ, მანდ რა გინდაო... და მეც მაშინ ვთქვი: არა! არ შემეძლო ამის გაკეთება. ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ — პოზიციაც, ოპოზიციაც, მდიდარიც, ღარიბიც... სხვანაირად არაფერი გამოვა. ეიფორია გვინდა... ზუსტად ამ ეიფორიამ მოაგებინა ხორვატიას 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები. ჩვენს მომავალს ეიფორია და გმირები სჭირდება. მე აუცილებლად ვეტყვი ფეხბურთელებს, რომ დღეს ისინი გმირები არიან და ეს არ უნდა დაავიწყდეთ!

— და ერთიც: ამ ბოლო ხანს ბრანკო ივანკოვიჩთან ხომ არ გილაპარაკიათ?

— ბრანკომ დამირეკა და მითხრა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო ჯერჯერობით ხორვატიის დატოვებას ვერ ახერხებს. მან კარგი შეთავაზება მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან. მე რომ ასეთი წინადადება მიმეღო, არც დავფიქრდებოდი... მან წარმატებები მისურვა და ჩვენ მეგობრებად ვრჩებით, თუმცა ბრანკოს ამბავი უკვე წარსულია — ახლა მე მხოლოდ ესტონეთზე ვფიქრობ და კიდევ: მე საქართველოს ნაკრებში უნდა დავრჩე! სხვანაირად ამ საქმეს ხელს არც მოვკიდებდი...

დღეს, 12 საათზე საქართველოს ნაკრები ბლდანში, „ამერის“ სტადიონზე ივარჯიშებს. იქვე გაიმართება ხვალინდელი ვარჯიშიც, ოღონდ საღამოს, 5 საათზე.

ნაკრები ტალინში 24 მაისს გაფრინდება, ვიზეუში კი ესტონეთთან მატჩის შემდეგ, 28 მაისს ჩავა.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს ნაკრებში მობრუნებულები

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
MOSCOW FINAL 2008
დღეს. 22:45
„ლუჟნიკი“
UEFA CHAMPIONS LEAGUE

წმინდა ინგლისური გარჩევა რუსულ აბდაუბდა ბალახზე

მანჩესტერ იუნაიტედი — ჩელსი

ჩემპიონთა თასის პირველი ინგლისური ფინალი „ლუჟნიკის“ ფერად ბალახზე გაიმართება.

მავანმა რუსმა, სახელად კირილმა, რომელიც ახალი საფარის დაგებაზე მუშაობდა, მედიასთან გუშინ განაცხადა, ორი დღის წინ რომ გენახათ ბალახი, იტირებდითო.

მინდორი მწვანე-ყვითელ-ყავისფერებშია გადაწყვეტილი, ოღონდ ეს დიზაინერის იდეა არაა.

ხელოვნური საფარი ბუნებრივით 15 დღის წინ შეცვალეს, მაგრამ რაღაც ვერ გათვალეს და ალაგ-ალაგ ხელმეორედ გადაკეთება მოუხდათ.

კირილმა ჟურნალისტებს აუხსნა, რომ ყავისფერი ლაქები ბალახის დამწვრობის გამო გაჩნდა.

„მინდვრის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ პრემიერლიგის მოედნებს ვერ შეედრება — განაცხადა ინგლისელმა ბალახმცოდნემ მეტ ფროსტმა, ვინც რუსებს რჩევებით ეხმარებოდა — საქმე თავიდანვე ცუდად წავიდა. კიდევ კარგი, საფარის ხელახლა შეცვლაზე დავითანხმე, თორემ პირველად დაგებულ ბალახზე რომ ეთამაშათ, კატასტროფა იქნებოდა“.

ასეთ ჭრელაჭრულა მოედანზე სტაფილოსფერი მაისურით გასვლას აპირებს „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი, რომელსაც გუშინ 26 წელი შეუსრულდა.

სტაფილოსფერით ჩეხმა პირველად პრემიერლიგის ბოლო ტურში ითამაშა. მიზეზი — მეცნიერული კვლევები. „მიზანში მოხვედრა გაცილებით ადვილია, როცა სამიზნეს აშკარად გამოკვეთილი ფერი აქვს — თქვა მეკარემ — თუ ფეხბურთელი დაბალ კუთხეში დარტყმას აპირებს, ასეთი მაისუსის დანახვისას ინსტიქტურად მას, ანუ მე მიმიზნებს.

ამ ფერის შეუმჩნევლობა გამორიცხულია, რადგან თვალს უმალ იტაცებს. ეს ხდება ძალიან სწრაფად, ქვეცნობიერად. შეუძლებელია, რომ თვალმა ასეთი კაშკაშა ლაქა ვერ შენიშნოს. ამის შესახებ ერთმა რუსმა მითხრა, რომელიც პრაღის „სპარტაში“ მუშაობდა. კვლევების შედეგები მანახა და გაოგნებული დავრჩი“.

ავრაამ გრანტი ჟოზე მაურინიუსავით განსაკუთრებულობას არ იბრალებს, მაგრამ მეგობრებში უთქვამს, ჩემპიონთა თასს თუ მოვიგებ, მაშინ კი სხვა გზა არ გექნებათ, განსაკუთრებული უნდა დამიძახოთო.

აბა, როგორია, კაცი კარიერაში ისრაელის კლუბებს და ნაკრებს არ გასცილებია და დღეს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი აქვს.

„ჩელსის“ მწვრთნელს თავისი ფეხბურთელების მებრძოლი ხასიათის ეიმედება და მოსკოვში გამგზავრებამდეც ამაზე ისაუბრა: „გაიხსენეთ, თუ როგორი თამაშით პასუხობდა გუნდი იშვიათ, მაგრამ ყოველ წაგებას. როცა იგებ, ყველა გენიოსი და მეფეა, მაგრამ მარცხის შემდეგ ჩნდება გუნდის ნამდვილი სული.

ასოციაციის თასზე „ბარნსლისთან“, ლიგის თასზე კი „ტოტენჰემთან“ წავაგეთ, თუმც მომდევნო მატჩებში ვიგებდით და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ არ ვნებდებით.

„ჩელსიმ“ სეზონი ცუდად დაიწყო, მერე კი მალე მოვედით გონს და ლამპარდის, დროგბას, კარვალიუს, ტერისა და ჩეხის ტრავმების მიუხედავად პრემერლიგის მოგების შანსი ბოლო ტურამდე შევინარჩუნეთ და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვართ. ეს უდაბულესი სეზონი იყო, რომელმაც მთელი გუნდის კისერზე გადაიარა. ამიტომ თითოეული მათგანი პატივისცემას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, მოვიგებთ თუ არა ჩემპიონთა თასს.

ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობების 80 პროცენტი ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი, თუ ვინ ითამაშებს ფინალში ძირითად შემადგენლობაში. ეს ვარჯიშების მერე გაირკვევა“.

„ჩემს კარიერაში ესაა ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი — თქვა ალექს ფერგიუსონმა — ჩემპიონთა თასის მოგებას ფეხბურთელები, გუნდი და მწვრთნელი სულ სხვა სიმაღლეზე აჰყავს.

ეს ტურნირი აქამდეც არაერთხელ უნდა მოგვეგო. „დორტმუნდთან“, „ლევერკუზენთან“ და „მილანთან“ წაგებული ნახევარფინალები მახსენდება და მაშინაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გავიდოდით და ჯილდო ჩვენ დაგვრჩებოდა.

„მანჩესტერი“ დიდ ევროპულ კლუბებს უნდა მიუახლოვდეს. „რეალს“ ალბათ ჩემს სიცოცხლეში ვერ დავეწევით, რადგან თასი ცხრაჯერ აქვს მოგებული, მაგრამ „ლივერპულთან“, „აიაქსთან“ და „ბაიერნთან“ გატოლება კი შეიძლება. ახლა სიტყვა ჩემს ფეხბურთელებზეა. მათ ეს შანსი უნდა გამოიყენონ“.

ალექს ფერგიუსონი დილემის წინაშეა: პოლ სქოულზმა წინა, „ბაიერნთან“ მოგებული ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, გიგზს კი საქმე სარეკორდოდ აქვს და მწვრთნელმა ისე უნდა მოახერხოს, რომ ორივე ათამაშოს.

„ახალგაზრდა ფეხბურთელები ისეთი ენთუზიაზმით არიან დამუხტულნი, რომ ვეტერანებსაც გადმოგვედო — თქვა 34 წლის გიგზმა — თავის მხრივ, ჩვენ მათ გამოცდილებას ვუზიარებთ. 1999 წელს ჩემპიონთა თასის მომგებ და დღევანდელ „მანჩესტერს“ ბევრი რამ აერთიანებს: თუნდაც გუნდური სული, რომლის გარეშეც ვერაფერს მიაღწევ. მაშინაც ვეტერანების და ახალბედების ნაზავი იყო და ახლაც იგივეა. ამჯერადაც თერმეტზე მეტი ძალიან კარგი ფეხბურთელი გვყავს, თუმც მაშინ ფინალამდე უფრო რთული გზა გავიარეთ. „ბარსელონას“ და „ოუვენტუსს“ მოვუგეთ, რომლებიც საუკეთესო ფორმაში იყვნენ. ასეთი ტურნირის მოსაგებად ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად საუკეთესოდ უნდა იყო მომზადებული. ფინალში გასვლა ნიშნავს იმას, რომ ეს დაიმსახურე ურთულესი გზის გავლის შემდეგ.

ბოლო გუნდი, რომელმაც ამ სეზონში მოგვიგო, სწორედ „ჩელსია“ და ფინალის წინ ეს რომ მახსენდება, არ მსიამოვნებს. იმ მატჩში მათმა დაცვამ საუცხოოდ ითამაშა, ჩვენ კი შეტევით ვართ ქებულნი. არ ვიცი, გამოვა თუ არა ფინალი გახსნილი, მაგრამ „მანჩესტერი“ აუცილებლად შეუტევს“.

რაიან გიგზს მიაჩნია, რომ კრიშტიანუ რონალდუ დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია: „რონალდუს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. ის ფენომენია და დღეს ვერავინ შეედრება. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც ჩვენს გუნდში ითამაშებს“.

„ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელის, ჟოზე მაურინიუს აზრით, ფინალი ამ გუნდებს შორის პრემიერლიგის მატჩისგან დიდად განსხვავებული არ გამოვა, რადგან ერთმანეთს კარგად იცნობენ. „შანსები თანაბარია — განაცხადა პორტუგალიელმა — მათ ერთმანეთის წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშიათ ჩემპიონატში თუ შინაურ თასებზე. ბოლო წლებში პრემიერლიგის მოსაგებადაც ისინი იბრძოდნენ, ამიტომ რომელიმეს ფავორიტობაზე საუბარი უადგილოა“.

„მანჩესტერის“ და ინგლისის ნაკრების კაპიტანი რიო ფერდინანდი ქომაგების თვალში რეაბილიტაციას ჩემპიონთა თასის მოგებით აპირებს: 2004 წლის იანვარში დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობის გამი რვათვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

„ჩელსის“ აღმასრულებელ შეფ პიტერ კინიონთან რესტორანში მალულმა შეხვედრამაც ფანები მის წინააღმდეგ აამხედრა.

ფერდინანდმა გასულ კვირას კლუბთან კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა და თქვა: „ჩემი კარიერის ურთულესი პერიოდი უკვე გავიარე. მაშინ ვითარება ჩემს სასარგებლოდ აშკარად არ იყო, მაგრამ ერთგულებით დავამტკიცე, რომ „მანჩესტერში“ თამაშის ღირსი ვარ. ქომაგებში მარიანი ბიჭის სახელი მქონდა, თუმც ბოლო წლებში ჩემზე ამას ველარავინ იტყვის. ფერგიუსონის და კაპელოს დარი მწვრთნელები კაპიტნის სამკლავურს არ განდობენ, თუ ამას არ იმსახურებ. რაც შეეხება ფინალს, თუ „მანჩესტერის“ ისტორიაში შესვლა გსურს, ჩემპიონთა თასის ფინალი უნდა მოიგო. დიდი დროება — აი, ვინაა „ჩელსის“ მთავარი იარაღი და ამ იარაღის განეიტრალებას თუ შეეძლებთ, თასის მოგების უკეთესი შანსი გვექნება“.

კარლოს ტევესის აზრით კი, ფსიქოლოგიური უპირატესობა „მანჩესტერის“ მხარესაა, რაკი მათ პრემიერლიგა „ჩელსისთან“ ბრძოლაში მოიგეს: „უკეთესი გუნდი გვყავს — განაცხადა არგენტინელმა — შეიძლება ამტკიცონ, რომ ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა საქმეა, მაგრამ შეუძლებელია, „ჩელსიზე“ არ იმოქმედოს იმან, რომ პრემიერლიგაში ვაჯობეთ. მათთვის ეს ფინალზე მეტია — თუ ვერ მოიგებენ, სეზონს ჯილდოს გარეშე დაასრულებენ“.

ვაჟა ხუციშვილი

გზა ფინალამდე

ჯგუფური ეტაპი						
19.09.2007	სპორტინგი (პორტუგალია) — მანჩესტერი					0:1
02.10.2007	მანჩესტერი — რომა (იტალია)					1:0
23.10.2007	დინამო (უკრაინა) — მანჩესტერი					2:4
07.11.2007	მანჩესტერი — დინამო (უკრაინა)					4:0
27.11.2007	მანჩესტერი — სპორტინგი (პორტუგალია)					2:1
12.12.2007	რომა (იტალია) — მანჩესტერი					1:1
საბოლოო ცხრილი						
მანჩესტერი	6	5	1	0	13:4	16
რომა	6	3	2	1	11:6	11
სპორტინგი	6	2	1	3	9:8	7
დინამო	6	0	0	6	4:19	0
მერვედფინალი						
20.02.2008	ლიონი (საფრანგეთი) — მანჩესტერი					1:1
04.03.2008	მანჩესტერი — ლიონი (საფრანგეთი)					1:0
მეოთხედფინალი						
01.04.2008	რომა (იტალია) — მანჩესტერი					0:2
09.04.2008	მანჩესტერი— რომა (იტალია)					1:0
ნახევარფინალი						
23.04.2008	ბარსელონა (ესპანეთი) — მანჩესტერი					0:0
29.04.2008	მანჩესტერი — ბარსელონა (ესპანეთი)					1:0

ალექს ფერგიუსონი და ავრაამ გრანტი

გზა ფინალამდე

ჯგუფური ეტაპი						
18.09.2007	ჩელსი — რუსენბორგი (ნორვეგია)					1:1
03.10.2007	ვალენსია (ესპანეთი) — ჩელსი					1:2
24.10.2007	ჩელსი— შალკე (გერმანია)					2:0
06.11.2007	შალკე (გერმანია) — ჩელსი					0:0
28.11.2007	რუსენბორგი (ნორვეგია) — ჩელსი					4:0
11.12.2007	ჩელსი — ვალენსია (ესპანეთი)					0:0
საბოლოო ცხრილი						
ჩელსი	6	3	3	0	9:2	12
შალკე	6	2	2	2	5:4	8
რუსენბორგი	6	2	1	3	6:10	7
ვალენსია	6	1	2	3	2:6	5
მერვედფინალი						
19.02.2008	ოლიმპიაკოსი (სებერძნეთი) — ჩელსი					0:0
05.03.2008	ჩელსი — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)					3:0
მეოთხედფინალი						
02.04.2008	ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ჩელსი					1:2
08.04.2008	ჩელსი — ფენერბაჰჩე (თურქეთი)					2:0
ნახევარფინალი						
22.04.2008	ლივერპული (ინგლისი) — ჩელსი					1:1
30.04.2008	ჩელსი — ლივერპული (ინგლისი)					3:2დ.დ.(1:1)

დღეს. 22:45 „ლუჩნიკი“

მანჩესტერი (ინგლისი)

1 — ვან დერ სარი, 37 წლის. „აიაქსის“, „იუვენტუსისა“ და „ფულემის“ ყოფილი მეკარე. ჰოლანდიის ნაკრებში მასზე მეტი არავის უთამაშია. „მანჩესტერმა“ 2005 წელს ორ მილიონ გირვანქად იყიდა.

6 — უესლი ბრაუნი (30). ათი წელი გაატარა „მანჩესტერში“ და 300-ზე მეტი მატჩი მიითვალა. დაცვის ხაზზე ყველა პოზიციაზე უთამაშია, მაგრამ ბოლოს მარჯვენა მცველობა იკისრა.

5 — რიო ფერდინანდი (29). ძველბიჭობას შეეშვა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად იქცა. თამაშს კარგად კითხულობს, ლიდერის თვისებები აქვს და თავით გოლებიც ეხერხება.

15 — ნემანია ვიდიჩი (26). თავურ გოლებში ფერდინანდზე უკეთესია. დაცვაში კედელია და ამიტომაც „მანჩესტერმა“ ამ სეზონში ვიდიჩი-ფერდინანდის წყვილით პრემიერლიგაში მხოლოდ 22 გოლი გაუშვა.

3 — პატრის ევრა (26). სენეგალში დაბადებულმა ფრანგმა გაბრიელ ჰაინცეს წასვლის შემდეგ დაცვის მარცხენა ფლანგი გაიპიროვნა და ეს საქმე ისე კარგად გამოსდის, რომ უფრო ხშირად მეტოქის საჯარიმოში ჩნდება, ვიდრე საკუთარში.

4 — ოუენ ჰარგივსი (27) კანადაში დაბადებული ინგლისელი დიდი დავიდარაბის შემდეგ შარშან გადავიდა „ბაიერნიდან“ „მანჩესტერში“. ნახევარმცველი, რომელსაც დაცვაც კარგად ეხერხება და შეტევების წამოწყებაც.

7 — კრისტიანუ რონალდუ (23). ამ სეზონის 47 მატჩში 41 გოლის ავტორი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

16 — მაიკლ კარიკი (26). ეს საყრდენი ნახევარმცველი „მანჩესტერს“ 19 მილიონი გირვანქა დაუჯდა — როი კინი უნდა შეცვალოსო. ლეგენდარულ ირლანდიელამდე კარიკს ბევრი უკლია, მაგრამ მონაცემები კარგი აქვს და გუნდშიც მალე ჩაეწერა.

18 — ჰოლ სქოულზი (33). „ბაიერნთან“ 1999 წლის დაუვიწყარი ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა და ალექს ფერგიუსონი „ჩელსისთან“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს შეპირდა. სწორედ სქოულზმა გაიტანა „ბარსასთან“ ორმატჩიან ნახევარფინალში ერთადერთი გოლი.

11 — რაიან გიგზი (34). ცაცია უელსელი რეკორდის ზღვარზეა. „მანჩესტერში“ 758 მატჩი მოაგროვა და ღღეს თუ ითამაშებს, ბობი ჩარლტონს გადასწრებს.

8 — უეინ რუნი (22). უნიჭიერესი ფორვარდი, რომელიც კრისტიანუ რონალდუს ჩრდილში მოექცა. საჯარიმოს რაგინდარა წერტილიდან გამტანია და საგოლე პასების ოსტატიცაა.

ჩელსი (ინგლისი)

1 — პეტრ ჩეხი 25 წლის. მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო მეკარე. თავის ქალის ტრავმის შემდეგ ჩაფხუტით თამაშობს, ერთი თვის წინ კი ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ თავპირზე 50 ნაკერი დაადეს.

2 — ჯონ ტერი (27). „ჩელსის“ კაპიტანი, რომელსაც თავით თამაშში ინგლისში ბარე ორი ვერ სჯობს.

6 — რიკარდუ კარვალიუ (30). ტერის მეწყვილე დაცვის ცენტრში. გამოცდილი მცველი, ვისაც ჩემპიონთა თასი „პორტუში“ მოუგია.

3 — ეშლი კოული (27). ძალიან სწრაფი მარცხენა მცველი, რომელიც შეტევაში არანაკლებ სასარგებლოა, ვიდრე დაცვაში. 2006 წელს „არსენალის“ შემადგენლობაში ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ახლა კი მეორედ, „ჩელსის“ მაისურით ეცდება ჯილდოს მოგებას.

5 — მიკაელ ესიენი (25). განელი მცველ-ნახევარმცველი, რომელიც რაგინდარა დავალების შემსრულებელია. უძლიერესი დარტყმის პატრონი და გოლების გამტანი.

8 — ფრენკ ლამპარდი (29). ინგლისში და ალბათ მსოფლიოში საუკეთესო მეგოლე ნახევარმცველი. ბევრ ფორვარდზე მეტი გოლი გაუტანია.

13 — მიხაელ ბალაკი (31). სეზონის ბოლო საუცხოოდ ჩაატარა. ბრწყინვალე მოთავურე, საჯარიმოების და პენალტების ოსტატი.

4 — კლოდ მაკელელე (35). უგამოცდილესი საყრდენი ნახევარმცველი. მადრიდის „რეალში“ ჩემპიონთა თასის მომგები. დაცვის ხაზის წინ მეტოქის შეტევების შეჩერებაში დაბერდა.

10 — ჯო კოული (26). უსწრაფესი შემტევი ნახევარმცვლი. ორივე ფლანგზე შეუძლია მეტოქის დაწიოკება.

21 — სალომონ კალუ (22). მარცხენა შემტევი, როცა კოული მარჯვნივაა. აფრიკის ეროვნებათა თასზე საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ „ჩელსიში“ ბოლო თერთმეტ მატჩში მხოლოდ ერთი გაიტანა.

11 — დიდიე დროგბა (30). ჯანლონიანი მეგოლე. რაგინდარა დაცვას გაარღვევს, მაგრამ პრემიერლიგაში არაერთი უჩივის, მყვინთავიაო.

მსაჯი

ჩემპიონთა ლიგის პირველ ინგლისურ ფინალს სლოვაკი ლუბოშ მიხელი იმსაჯებს, რომელიც ხვალ 40 წლის გახდება. მისი თანაშემწეები არიან რომან სლიშკო და მარტინ ბალკო.

მიხელი 1968 წლის 16 მაისს ქალაქ სტროპკოვში დაიბადა, მსაჯობა კი 1987-ში დაიწყო.

მისი პირველი მატჩი სლოვაკეთის ჩემპიონატის ქვედა დივიზიონის „დუპლინის“ და „სტროჩინის“ შორის შეხვედრა იყო.

1993 წელს სლოვაკეთის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის თამაში ანდეს, ნოემბერში კი ევროპაში მიხელის დებიუტი შედგა — ინგლისის და სან მარინოს ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრას გაუძღვა.

ამის შემდეგ სიდნეის (2000) ოლიმპიადაზე გააგზავნეს, შემდეგ კი კონფედერაციათა თასის ფინალის მსაჯობა (2005) ერგო ბრაზილიასა და არგენტინას შორის.

იმ მატჩის 72-წუთზე მოედანზე შევიდა „მანჩესტერის“ ამჟამინდელი ფორვარდი კარლოს ტევესი.

სლოვაკეთის ჩეხეთიდან გამოყოფის შემდეგ ლუბოშ მიხელი პირველი სლოვაკი არბიტრი გახდა, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უხმეს და პარაგვაი-სამხრეთ აფრიკის მატჩში უსტვინა.

2006-ის მუნდიალზე მექსიკა-პორტუგალიის, ბრაზილია-განის მერვედფინალურ და არგენტინა-გერმანიის მეოთხედფინალურ შეხვედრას მოემსახურა.

2003 წელს ლუბოშ მიხელმა კარიერაში პირველი ფინალი უეფას თასზე „პორტუს“ და „სელტიკს“ შორის იმსაჯა, ხოლო ევრო 2004-ზე საბერძნეთი-ესპანეთი, შვეიცარია-საფრანგეთი და შვედეთი-ჰოლანდია ანდეს.

ჩემპიონთა ლიგაში მისი დებიუტი 1998 წელს შედგა და ამჟამად კიმ მილტონ ნილსენის შემდეგ მეორე მსაჯია, ვინაც ჩემპიონთა ლიგაში 50 მატჩიან ზღვარს გადააბიჯა.

2005-ში მიხელი გახლდათ მთავარი მსაჯი ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ლივერპულსა“ და „ჩელსის“ შორის.

ვაჟა ხუციშვილი

ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

13.06.56	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	4:3
30.05.57	მადრიდი	რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია)	2:0
29.05.58	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია)	3:2
03.06.59	შტუტგარტი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	2:0
18.05.60	გლაზგო	რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ)	7:3
31.05.61	ბერნი	ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	3:2
02.05.62	ამსტერდამი	ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი)	5:3
22.05.63	ლონდონი	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	2:1
27.05.64	ვენა	ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი)	3:1
27.05.65	მილანი	ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
11.05.66	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)	2:1
25.05.67	ლისაბონი	სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია)	2:1
29.05.68	ლონდონი	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია)	4:1
28.05.69	მადრიდი	მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	4:1
06.05.70	მილანი	ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
02.06.71	ლონდონი	აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
31.05.72	როტერდამი	აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია)	2:0
30.05.73	ბელგრადი	აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
15.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	1:1
17.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	4:0
		გადათამაშება	
28.05.75	პარიზი	ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	2:0
12.05.76	გლაზგო	ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	1:0
25.05.77	რომი	ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ)	3:1
10.05.78	ლონდონი	ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია)	1:0
30.05.79	მიუნხენი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი)	1:0
28.05.80	მადრიდი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ)	1:0
27.05.81	პარიზი	ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი)	1:0
26.05.82	როტერდამი	ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ)	1:0
25.05.83	ათენი	ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
30.05.84	რომი	ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია)	1:1 (პენ. 4:2)
29.05.85	ბრიუსელი	იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი)	1:0
07.05.86	სევილია	სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)	0:0 (პენ. 2:0)
27.05.87	ვენა	პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ)	2:1
25.05.88	შტუტგარტი	პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია)	0:0 (პენ. 6:5)
25.05.89	ბარსელონა	მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი)	4:0
23.05.90	ვენა	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
29.05.91	ბარი	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი)	0:0 (პენ. 5:3)
20.05.92	ლონდონი	ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია)	1:0დ.დ. (0:0)
26.05.93	მიუნხენი	მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია)	1:0
18.05.94	ათენი	მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	4:0
24.05.95	ვენა	აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია)	1:0
23.05.96	რომი	იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	1:1 (პენ. 4:2)
28.05.97	მიუნხენი	ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია)	3:1
20.05.98	ამსტერდამი	რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
26.05.99	ბარსელონა	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია)	2:1
24.05.00	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი)	3:0
23.05.01	მილანი	ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი)	1:1 (პენ. 4:2)
15.05.02	გლაზგო	რეალი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია)	2:1
28.05.03	მანჩესტერი	მილანი (იტალია) — იუვენტუსი (იტალია)	0:0 (პენ. 3:2)
26.05.04	გელზენკირხენი	პორტუ (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი)	3:0
25.05.05	სტამბოლი	ლივერპული (ინგლისი) — მილანი (იტალია)	3:3(პენ.3:2)
24.05.06	პარიზი	ბარსელონა (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი)	2:1
23.05.07	ათენი	მილანი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი)	2:1

შენიშვნა: 1992 წლიდან ჩემპიონთა თასი შეიცვალა ჩემპიონთა ლიგით

ვაი მილანს ულიგოდ

„მილანი“ ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩა, რაც ამ გუნდითვის უდავოდ დიდი წარუმატებლობაა. თუმცა, მიუხედავად იმედგაცრუებისა, „როსონერის“ ბანაკში სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობენ.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ოთხეულს მიღმა დავრჩით. არადა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოვიგეთ და ყველაზე ტიტულოვანი გუნდი გავხდით. ტრავმებმა შეგვიშალა ხელი, გვქონდა სხვა პრობლემებიც. ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად უეფას თასზე ყოფნა არ გვსიამოვნებს, მაგრამ ახლა ვერაფერს გამოვასწორებთ. მომავალ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი სკუდეტოს მოპოვება იქნება“ — თქვა მილანელთა გენერალურმა მენეჯერმა ადრიანო გალიანიმ.

„როსონერის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „უნდა შევეგუოთ იმ შედეგს, რაც დაფიქსირდა. შეცდომების გაანალიზება და მათ გამოსწორებაზე ფიქრია საჭირო. ჩემპიონატის პირველ წრეში საშინაო მატჩები განსაკუთრებულად ცუდად ჩავატარეთ და ამისთვის მწარედ დავისაჯეთ. რაც შეეხება გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებს, უკვე ბევრჯერ ვთქვი და გავიმეორებ, რევოულცია არ იქნება, უბრალოდ, რამდენიმე ჩვეულებრივ ცვლილებას ვგეგმავთ“.

„უდინეზესთან“ საშინაო მატჩი ბოლო იყო „მილანის“ ვეტერანი მცველი კაფუსთვის. 37 წლის ბრაზილიელმა გოლის გატანაც მოახერხა და ასე დაემშვიდობა „როსონერის“. მას კლუბთან კონტრაქტი ეწურება და სულ მალე თავისუფალი აგენტი გახდება, მაგრამ დიდი შანსია, კაფუმ კარიერა დაასრულოს.

„ჩემთვის ძალიან მძიმე, მწუხარების მომენტია, რადგან მივდივარ. აქაურობა და თანაგუნდელები მომენატრებიან. ორი-სამი თვე სამშობლოში ვიქნები და დავისვენებ. იქ გადავწყვეტ, გავაგრძელო თამაში თუ არა. ადრიანო გალიანის ველაპარაკე და მან მითხრა, შენთვის ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა, თუ კლუბში მუშაობას გადაწყვეტო. რაც უნდა მოხდეს, „მილანი“ არასოდეს დამავიწყდება, აქ 5 ჩინებული წელი გავატარე“ — განაცხადა კაფუმ.

კოკი კანდელაძი

ნაპოლის წარმატება



მაშ ასე, სერია A-დან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ინტერი“ და „რომა“ მოხვდნენ, „იუვენტუსსა“ და „ფიორენტინას“ კი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწევთ. უეფას თასზე „მილანი“, „სამპდორია“ და „უდინეზე“ ითამაშებენ. აი, ინტერტოტის თასზე კი „ნაპოლი“ იასპარეზებს და უეფას თასის საგზურის მოპოვებას შეეცდება.

ნეაპოლელებმა სეზონი მშვენივრად ჩაატარეს. „სტადიო სან პაოლოზე“ „ნაპოლისთან“ ქულის აღებაც დიდი საქმეა. შინ გუნდმა თითქმის ყველა გრანდი გაამწარა და საბოლოოდ, მერვე ადგილს უწია.

„გულწრფელად გეტყვით, არ მეგონა, რომ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მომიხდებოდა, რადგან ვფიქრობდი, მე-10 ადგილზე უკეთეს შედეგს ვერ მივაღწევდით. თუმცა სეზონი კარგად ჩავატარეთ და ევროპაში იმაზე სწრაფად მოვხვდით, ვიდრე ვგეგმავდით. ახლა ღრუბლებიდან მიწაზე უნდა დავეშვათ და მუშაობა გავაგრძელოთ“ — თქვა „ნაპოლის“ მფლობელმა მაგნატმა აურელიო დი ლაურენტისმა.

შეგახსენებთ, რომ მან კლუბი მაშინ შეისყიდა, როცა „ნაპოლი“ სერია C-ში იყო და სეროზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა. თუ რამხელა წარმატებას მიაღწია კინოსამყაროში კარგად ცნობილმა დე ლაურენტისმა და მისმა ინვესტიციებმა, თავადაც ხედავთ.

„ემოციური თვალსაზრისით, „ნაპოლიმ“ უკვე ძალიან ბევრი რამ მომცა. ამ პროექტის გულისთვის ამერიკა ოთხი წლის წინ დავტოვე, რადგან გუნდის წარმატების მჯეროდა. ახლა თამამად განვაცხადებ, რომ ფეხბურთს აღარასდროს დავტოვებ და კლუბში მომავალშიც ვიმუშავებ“ — დასძინა დე ლაურენტისმა.

გიორგი კაკაბაძე

გავარდნილები და გადარჩენილი კატანია

სერია A-დან „ლივორნოს“ გავარდნა ბოლო ტურამდეც გადაწყვეტილი იყო და ტოსკანელები ბედს იყვნენ შეგუებულნი. აი, „პარმასა“ და „ემპოლისთვის“ კი ეს მძიმე დრატყმა გახლდათ, განსაკუთრებით ემპოლელთათვის, რომლებიც ელიტაში რჩებოდნენ, „კატანიას“ შინ „რომასთვის“ რომ არ გაეთანაბრებინა. ამ გოლზე გარკვეული ეჭვები გაჩნდა.

„სიცილიელთა გოლი ფარსი იყო. ყველაფერმა ისე ჩაირა, როგორც მოსალოდნელი გახლდათ. „კატანიამ“ მაშინვე გაათანაბრა, როცა „ინტერმა“ პარმაში მოგება გაინაღდა“ — თქვა „ემპოლის“ პრეზიდენტმა ფაბრიციო კორსიმ.

ტოსკანელთა აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ჯიჯი კანი: „შედეგი სახეზეა და ბედთან შეგუება მოგვიწევს. ბოლო ტურში სხვების იმედად ვიყავით და არ გაგვიმართლა. ძალიან ვწუხვარ, რომ გუნდს ასეთი ცუდი ამბით ვტოვებ“.

ჯიჯი კანის სილვიო ბალდინი შეცვლის, ვინც ეცდება, გუნდი უმაღლეს ლიგაში დაბრუნოს. ბალდინი „სტადიო კასტელინიზე“ 1999-2003 წლებში წარმატებით მუშაობდა.

„პრეზიდენტი კორსი ფარსს კარგად არის შეჩვეული. მშვენივრად გვახსოვს წინა წელს „ემპოლისა“ და „რეჯინას“ 3:3 დამთავრებული მატჩი. სასაცილო შოუ იყო. წინა სეზონშიც ბოლო ტურში შევინარჩუნეთ უმაღლეს ლიგაში ადგილი და ახლაც. კომპლიმენტები ვალტერ ძენგას, მან მშვენივრად იმუშავა, განსაკუთრებით, გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა გამოასწორა, რაც შედეგებზეც აისახა. თუ სერია A-ში დავრჩებით, მასთან კონტრაქტს გავახანგრძლივებთ-მეთქი და ასეც იქნება. ხუან მანუელ ვარგასმა ჩვენს გუნდში ალბათ ბოლო მატჩში ჩაატარა. იმედია, ის იტალიაში დარჩება, რადგან აქ კიდევ ბევრის სწავლა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა შეუძლია. ვადასტურებ, რომ მის ტრანსფერზე „ფიორენტინასა“ და მადრიდის „რეალთან“ გვაქვს მოლაპარაკებები“ — აღნიშნა „კატანიას“ პრეზიდენტმა ანტონიო პულვირენტიმ.

„ძალიან დამწუხრებული ვარ. ბოდიშს ვუხდი ფანებს. მე და ჩემმა თანაშემწეებმა თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, მაგრამ ალბათ გარკვეული შეცდომები დავუშვით. სერია B-ში ძველებური ენთუზიაზმით ვითამაშებთ, გვინდა დავამტკიცოთ, რომ კარგი გუნდი გვყავს, რომელიც უმაღლეს ლიგაში უნდა თამაშობდეს. მიმდინარე სეზონში კლუბს იმდენი პრობლემა ჰქონდა, რომ გავარდნისგან გადარჩენა სასწაული იქნებოდა. ჩვენი მთავარი პრობლემა ფულია, მცირე ბიუჯეტი გვაქვს. არ მინდა, იმ კაცად დამიმახსოვრონ, რომელმაც „პარმა“ სერია A-დან დაიქვეითა. თუმცა ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და იმედია, უმაღლეს ლიგას რაც შეიძლება მალე დავუბრუნდებით“ — ეს კი „პარმას“ პრეზიდენტის ტომაზო გირარდის სიტყვებია.

კოკი კანდელაძი

ადრიანო თავს იკლავდა?



ბრაზილიელი ადრიანოს დედამ, დონია როსილდამ გაამხილა, რომ მისი შვილი დეპრესიული პერიოდის დროს თურმე თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა.

„მამამისის სიკვიდილისა და სხვა ამბების მერე, მას საშინელი დეპრესია ჰქონდა, ურთულესი პერიოდი ედგა. ადრიანო თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ჟურნალისტებს ჩვენი სახლი ალყაში ჰქონდათ მოქცეული და მათი კრიტიკა ადრიანოზე დამთრგუნველად მოქმედებდა. იგი ძალიან ახალგაზრდა გახლდათ, როცა სათამაშოდ იტალიაში წავიდა და იქ მარტო აღმოჩნდა, გვერდით ერთი ახლო ადამიანიც არ ჰყავდა“ — თქვა „იმპერატორის“ დედამ.

შეგახსენებთ, რომ სამშობლოში სარეაბილიტაცო კურსის გავლის მერე, „ინტერის“ ფორვარდი ნელნელა მწყობრში ჩადგა. იგი „სან პაულუშია“ განათხოვრებული და მშვენივრადაც თამაშობს — 26 მატჩში 15 გოლი.

კოკი კანდელაძი

ნორვეგია

ტიპელიგა. VII ტური

ჰამ კამი 1:1 სტრიომსგოდსეტი

სტაბეკი	7	5	2	0	13:3	17
ფრედრიკსტადი	7	5	1	1	15:7	16
ბოდიო გლიმტი	7	4	1	2	10:8	13
ვიკინგი	7	4	0	3	11:11	12
ბრანი	7	3	2	2	10:11	11
ლინი	7	3	1	3	11:8	10
ვოლერენგა	7	3	1	3	9:8	10
სტრიომსგოდსეტი	7	2	3	2	8:8	9
ტრომსიო	7	2	3	2	4:4	9
რუსენბორგი	7	2	1	4	10:9	7
მიოლდე	7	1	4	2	6:7	7
ალესუნდი	7	2	0	5	11:16	6
ლილესტრიომი	7	1	2	4	7:15	5
ჰამ კამი	7	1	1	5	6:16	4

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VI ტური

ჰიკ 5:1 ტამპერე

ინტერი	6	5	1	0	12:2	16
ლაჰტი	6	5	0	1	8:3	15
ჰიკ	6	3	3	0	14:3	12
ტურკუ	6	3	1	2	10:7	10
მიუბა	6	3	1	2	8:5	10
ვაასა	6	2	3	1	4:1	9
როვანიემი	6	2	3	1	8:7	9
მარიეჰამნი	6	3	0	3	9:10	9
ჰონკა	6	2	1	3	10:4	7
იარო	6	1	2	3	3:10	5
ჰაკა	6	1	2	3	4:12	5
კუოპიო	6	1	1	4	4:11	4
ტამპერე	6	0	3	3	4:11	3
კტპ	6	0	1	5	3:15	1

შოტლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

სენტ მირენი 0:3 რეინჯერსი

0:1 ბოიდი (4), 0:2, 0:3 დარშული (23, 70)

სელტიკი	37	27	5	5	83:26	86
რეინჯერსი	37	27	5	5	84:31	86
მოზერუელი	37	17	6	14	48:46	57
დანდი იუნ.	37	14	10	13	53:46	52
ჰიბერნიანი	37	14	10	13	49:43	52
აბერდინი	37	14	8	15	48:58	50
ფოლკირკი	38	13	10	15	45:49	49
ჰარტსი	38	13	9	16	47:55	48
ინვერნესი	38	13	4	21	51:62	43
სენტ მირენი	38	10	11	17	26:54	41
კილმარნოკი	38	10	10	18	39:52	40
გრეტნა	38	5	8	25	32:83	23

„გრეტნას“ დაკლებული აქვს 10 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხმა დონადონის ჯერ 24 ათქმევინა

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ იმ 24 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, რომელთაგან ოცდასამს ავსტრია-შვეიცარიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს. ერთი უიღბლო კი 28 მაისს ამოვარდება სიიდან და როგორც იტალიელი სპეციალისტები ვარაუდობენ, იგი „ფიორენტინას" ახალგაზრდა ნახევარმცველი რიკარდო მონტოლივო იქნება.

დელ პიერო ნაკრებში! კასანო ნაკრებში! — ვინ იცის, ასე რამდენჯერ მოუწოდეს დონადონის გულშემატკივრებმა თუ სპეციალისტებმა. ახლა, ეს ორი ფეხბურთელი ისეთ ფორმაშია, ევროზე მათი არწაყვანა დანაშაულის ტოლფასი იქნებაო, უკიჟინებდნენ მწვრთნელს. ჰოდა, როცა რომის „სტადიო ოლიმპიკოს" გადაჭედილ საპრესკონფერენციო დარბაზში ევროჩემპიონატზე წასაყვანთა სია გამოამზეურა, მაშინ ატყდა ტაშის გრიალი და ყიჟინა, თუ ატყდა — აშკარა იყო, აპენინურმა მედიამ დონადონის არჩევანი ერთობ მოუწონა.

რამდენიმე დღის წინ იტალიელი ჟურნალისტების მიერ მოპოვებული გაფართოებული შემადგენლობა შემოგთავაზეთ, სადაც ისიც ვივარაუდეთ, თუ რომლები მოჰყვებოდნენ „შემცირებაში" — დანიელე ბონერა, მარკო კასეტი, ალესანდრო გამბერინი, მაქს ტონეტო, რიკარდო მონტოლივო და ტომაზო როკი. გარდა ამისა, სიაში იყვნენ მასიმო ოდო და მეკარე კრისტიან აბიატიც, თუმც მადრიდის „ატლეტიკოს" გოლკიპერს გუშინ დონადონიმ „სევილიას" სათადარიგო მეკარე მორგან დე სანქტისი ამჯობინა.

და კასანო? მადრიდის „რეალისგან" გენუის „სამპდორიაში" განათხოვრებულმა „ხულიგანმა", გეხსომებათ, ჩავლილ სეზონში ბრწყინვალედ იბურთავა, არაერთი საჭირო გოლიც გაიტანა და სპეციალისტებსაც ბევრჯერ ათქმევინა, ანტონიო მოჭკვიანებულაო. მოკლედ, იყო ხულიგანი, გახდა ჭკვიანი და აგერ შედეგიც — ავსტრია-შვეიცარიაში ანტონიო კასანოც წავა.

გარდა იმისა, რომ რობერტო დონადონიმ შემადგენლობა დაასახელა, გუშინ მწვრთნელმა ერთ პრობლემატურ საკითხსაც დაუსვა წერტილი. გეცოდინებათ, საქმე მის კონტრაქტს ეხებოდა, ანუ მის ძველ ხელშეკრულებას ყავლი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გასდიოდა, მწვრთნელს დარჩენა სურდა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის შეფობა კი ჯერჯერობით ახლის გაფორმებაზე თავს იკავებდა და საჩოთირო მდგომარეობაში მყოფ დონადონის ისიც წამოაძახეს: ხელფასის გაზრდას ითხოვს, მხოლოდ ფული აინტერესებს, „სკუადრა აძურას" ბედიღბალი კი არაო. ვერ გეტყვით, რაზე შეთანხმდა მწვრთნელ-ფედერაცია, მაგრამ ფაქტი კია — გუშინ რობერტო დონადონიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ძალითაც „სკუადრა აძურას", სულ ცოტა, 2010 წლის ზაფხულამდე უთავკაცებს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის საქართველოს ნაკრებს ამჯერადაც მისი გაწვრთნილი გუნდი დაუპირისპირდება.

ერთი სიტყვით, ასეა. იტალიის ნაკრები ევროჩემპიონატისთვის გენერალურ სამზადისს 25 მაისს, კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე დაიწყებს, 28-ში დონადონი უეფაში გასაგზავნ 23-კაციან სიას წარადგენს, „სკუადრა აძურა" კი ავსტრია-შვეიცარიაში 2 ივნისს გაფრინდება.

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო), მორგან დე სანქტისი (სევილია, ესპანეთი);

მცველები: კრისტიან პანუჩი (რომა), ფაბიო გროსო (ლიონი, საფრანგეთი), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), ანდრეა ბარცალი (პალერმო), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო მატერაცი (ინტერი);

ნახევარმცველები: დანიელე დე როსი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), მასიმო ამბროზინი (მილანი), სიმონე პეროტა (რომა), ანდრეა პირლო (მილანი), ალბერტო აკვილანი (რომა), რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა);

თავდამსხმელები: ლუკა ტონი (ბაიერნი, გერმანია), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ანტონიო კასანო (სამპდორია), ფაბიო კვალიარელა (უდინეზე), მარკო ბორიელო (ჯენოა), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე).

გიორგი ვაშაძიძე

ლიოვი და მისი რაზმი

გერმანიის ნაკრები ბალეარებზე გაფრინდა — იოახიმ ლიოვმა ევრო 2008-ის წინ 12-დღიანი საწვრთნელი ბანაკი დასცა.

ფრანკფურტიდან პალმა დე მალიორკისკენ გაფრენილ ჩარტერულ რეისში ლიოვმა 24 ფეხბურთელისთვის გამოძებნა ადგილი. სწორედ ესპანეთში და სწორედ ამ ოცდაოთხმა ადამიანმა უნდა ამოიყვანოს იმ გუნდის კედლები, რომელმაც შვეიცარიისა და ავსტრიის სტადიონებზე წარმატებისთვის უნდა იბრძოლოს. ამწუთას გუნდთან ერთად არ არიან კრისტოფერ მეტცელდერი, რომელმაც „რეალის" შემადგენლობაში საუდის არაბეთში კომერციულ შეხვედრაში უნდა ითამაშოს და მიხაელ ბალაკი, რომელსაც, მოგეხსენებათ, დღეს „ჩელსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელის „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ. ეს ორი ფეხბურთელი ბალეარებზე მოგვიანებით თავისით ჩავა და როდესაც ორი კვირის შემდეგ

ფრანკფურტის აეროპორტში: ლიოვი და მისი ასისტენტები — ბირჰოფი და კოპკე

გერმანიის ნაკრები ესპანეთიდან დაბრუნდება, ლიოვი 26 კაციდან სამს ამოაგდებს და იმ 23 ფეხბურთელს ჩამოწერს, რომლებიც საბოლოოდ გაემგზავრებიან ევროპის პირველობაზე.

გერმანიის ნაკრებს პირველი ევროთამაში 8 ივნისს პოლონეთის წინააღმდეგ უწევს, ბოლო კი, ლიოვის გათვლით, 29-ში ვენაში უნდა შედგეს — ეს თამაში ევრო 2008-ის ფინალი გახლავთ.

„რატომ უნდა ვიფიქროთ რომელიმე სხვა ადგილზე, როდესაც ჩემპიონობა შეგვიძლია?" — იკითხა ლიოვმა ფრანკფურტიდან გაფრენის წინ აეროპორტში.

საინტერესოა, რომ ევროპის პირველობის დაწყებამდე მალიორკიდან გერმანელებს ორჯერ მოუწევთ სამშობლოში დაბრუნება. თავიდან, 27-ში ისინი კაიზერსლაუტერნში ჩაფრინდებიან და ბელარუსის ნაკრებს გაესპარინგებიან, ოთხ დღეში კი, გელზენკირხენში სერბებთან ელით გენერალური რეპეტიცია.

პაპუნა ძიძია

ბებერი თუგაი

ინგლისური „ბლექბერნის" თურქი ნახევარმცველი თუგაი ქერიმოღლუ კლუბთან მალე ახალ ერთწლიან შეთანხმებას გააფორმებს, კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია. თუგაის სამომავლოდ, გუნდის მწვრთნელადაც კი მოიაზრებენ.

შეგახსენებთ, რომ თუგაი 37 წლისაა და ამჟამად პრემიერლიგის მოქმედ ფეხბურთელებს შორის ყველაზე ასაკოვანია. ექსრეინჯერსელს „ბლექბერნის" მაისურა 200-ზე მეტჯერ აქვს მორგებული.

მაცუი გამწვანდა

ფრანგული „სენტ ეტიენი" იაპონელი დაისუკე მაცუით გაძლიერდა, რომელიც „მწვანეებში" „ლე მანიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. 27 წლის ნახევარმცველმა თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ათგზის ჩემპიონმა (რაც საფრანგეთის რეკორდია) „სენტ ეტიენმა" სეზონი მეხუთე ადგილზე დაამთავრა და უეფას თასის საგზური მოიპოვა.

დეგენი ლივერპულში მიდის

შვეიცარიელ მცველ ფილიპ დეგენს გერმანულ „დორტმუნდთან" კონტრაქტის ვადა 1 ივლისს ამოეწურება და ოფიციალურად გახდება თავისუფალი აგენტი. უკვე ცნობილია, რომ დეგენი „ლივერპულში" ჩაირიცხება.

მერსისაიდელთა რიგებში 25 წლის ფეხბურთელი მარჯვენა მცველის პოზიციაზე ალვარო არბელოასა და სტივ ფინანს გაუწევს კონკურენციას. „ლივერპულის" მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი დეგენისადმი დიდი სიმპათიითაა განწყობილი.

ავსტრალია 2018?

ფიფას ყოველწლიური კონგრესი მომავალ კვირას სიდნეიში გაიმართება და ეს ჩინებული შესაძლებლობა იქნება ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილის გამოთქმისა.

ავსტრალიური ფეხბურთის მამებს ხელისუფლებაც გვარიან დახმარებას უწევს. მათი თქმით, ქვეყანა სწრაფი ტემპებით ვითარდება და ყოველგვარი პრობლემების გარეშე შეძლებს უმაღლეს დონეზე უმასპინძლოს 2018 წლის მუნდიალს.

კუმანმა დასვენება გადაწყვიტა

არცთუ დიდი ხნის წინ ესპანური „ვალენსიადან" გაგდებული რონალდ კუმანი დასვენებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ მან სამწვრთნელო კარიერა 1998 წლიდან დაიწყო და ფაქტობრივად არ შეუსვენია, მუდამ საქმეში იყო.

„ძალიან მინდა, დავისვენო. ფეხბურთი მცირე ემოციასა და ძალას არ მოითხოვს, ამიტომ გადაღლილი ვარ. ვფიქრობ, წელს არცერთ შემოთავაზებას არ განვიხილავ" — თქვა კუმანმა.

კლას იანის დატოვების სურვილით

ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენილ ამსტერდამის „აიაქსს" კლას იან ჰუნტელაარის შენარჩუნება სურს და მზად არის, ფეხბურთელს ჰოლანდიისთვის სარეკორდო ხელფასი, წელიწადში 4 მილიონი ევრო გადაუხადოს. როგორც იცით, 24 წლის ფორვარდს არაერთი მსურველი ჰყავს.

„აიაქსს" კი ევროპის ჩემპიონატის მერე ჰოლანდიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი ჩაიბარებს, ვისაც უნდა, რომ გუნდმა წამყვანი მოთამაშეები შეინარჩუნოს.

რუმინეთს პეტრე დააკლდება

რუმინეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ოვიდიუ პეტრეს გარეშე მოუწევს თამაში. 26 წლის ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა მიიღო და სულ მცირე ერთი თვე უქმად უნდა იყოს.

პეტრემ კურიოზული ტრავმა მიიღო — თანამემამულეებთან ერთად ანთალიაში გახლდათ, პლაჟის ფრენბურთის მატჩში იღებდა მონაწილეობას, რომელშიდაც ერთმანეთს რუმინეთის ნაკრების წევრები და ჟურნალისტები ხვდებოდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში პეტრე მავან პრესის წარმომადგენელს შეეჯახა და...

მეთოფეები სანტა კრუსს უმიზნებენ

ზაფხულში ლონდონის „არსენალი", შესაძლოა, ტოგოელმა ემანუელ ადებაიორმა დატოვოს და „მეთოფეებს" მის შემცვლელად როკე სანტა კრუსი შეუგულებიათ. მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილმა თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონი „ბლექბერნის" მაისურით მშვენივრად ჩაატარა. 26 წლის პარაგვაელმა 37 მატჩი 19 გოლი გაიტანა.

ედმილსონს იაპონიაში იწვევენ

ბრაზილიელი ნახევარმცველი ედმილსონი, შესაძლოა, იაპონურ „ჯუბილო ივატაში" აღმოჩნდეს. 31 წლის ფეხბურთელს „ბარსელონასთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. გავრცელებული ცნობით, „ჯუბილო ივატა" ედმილსონს წელიწადში 1,5 მილიონ ევროს სთავაზობს და მის დაყოლიებას ამით ცდილობს. ესპანური პრესა კი იუწყება, ბრაზილიელით „ვილიარეალიც" დაინტერესებულაო.

ძოძი ძანდელაკი

გატუზო ფანჯრიდან აღარ გადახტა

ჯენარო გატუზომ „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა. ამით მან წერტილი დაუსვა ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში აგორებულ ხმებს, გატუზო „როსონერიდან“ მიდისო. მისი ყიდვით ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი „ბაიერნი“, „ნიუკასლი“, „ტოტენჰემი“ და „არსენალი“.

ბოლო პერიოდში გატუზო საუკეთესო ფორმაში არ იყო და ძირითადად სატადარიგოთა სკამზე უწევდა ყოფნა. მის წასვლაზეც ამიტომ ალაპარაკდნენ. ამბობენ, 30 წლის ნახევარმცველმა კლუბის გენერალური დირექტორის ადრიანო გალიანისგან დაპირება მიიღო, მომავალ სეზონშიც „მილანის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იქნები და არა რიგითიო.

„ხელმძღვანელობასთან პრობლემების მოგვარებას ოდენ 5 წუთი დაჭირდა და ჩვენი საუბარი ფინანსურ დეტალებს საერთოდ არ შეხებია. მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ და ადრიანო გალიანიმ მომისმინეს და ჩვენ ისეთივე მეგობრები ვართ, როგორც ადრე. აქ კიდევ სამი წელი ვიქნები და კარიერას „მილანში“ დავასრულებ. წასვლაზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია, რადგან „როსონერიში“ გატარებული ცხრა ბრწყინვალე წლის შემდეგ ეს ძნელი იქნებოდა. როცა ოფისში შევედით, გალიანიმ კარი დახურა და მითხრა, თუ წასვლა მართლა გინდა, ფანჯრიდან გადახტომა მოგიწევსო. როგორც გითხარით, მალევე შევთანხმდით. „მილანის“ მაისურით თამაშისას მუდამ გამარჯვება გინდა, მაგრამ ყოველთვის ვერ მოიგებ და ამიტომ, ზოგჯერ გულდაწყვეტილიც ხარ. ფანების სიყვარულიც მნიშვნელოვანი ფაქტორია. არ მსურდა, ანდრეი შევჩენკოს დარი შეცდომა დამეშვა და მოღალატესავით წავსულიყავი“ — განაცხადა გატუზომ.

ადრიანო გალიანი: „ჩემი პოზიცია ყოველთვის ნათელი იყო. სილვიო ბერლუსკონისაც ველაპარაკე და მან თავისი მითხრა. მერე, ჯენაროსთან შევათანმხე ყველაფერი და პრობლემაც გადაიჭრა. „მილანი“ გატუზოს გარეშე ვერ წარმომიდგენია“.

გიორგი ძაძაბაძე

ორი ამხანაგური აპაჩეს გარეშე

არგენტინის ნაკრები ივნისში მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამხანაგურ შეხვედრებს კარლოს ტევესის გარეშე გამართავს. „ელ აპაჩეს“ „ალბისელესტესთან“ ერთად არც მარტში, ეგვიპტის წინააღმდეგ ასევე ამხანაგურ მატჩში უთამაშია. ხსენებული ჯახი ერთადერთია, რაც არგენტინელთა ეროვნულმა გუნდმა წლეულს ჩაატარა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ „აპაჩე“ კი აგრესიულობის გამო ისჯება. ტევესმა ნოემბერში კოლუმბიასთან მუნდიალის შესარჩევში მეტოქე მწარედ ჩაწიხლა, წითელი ბარათი აიკიდა და ამის გამო ეკვადორთან მომდევნო შესარჩევ შეხვედრაშიც არ ათამაშებენ.

უტევესო ამხანაგური მატჩები კი არგენტინელებს 4 და 8 ივნისს აქვთ დაგეგმილი.

მეკარეები: რობერტო აბონდანსიერი, ოსკარ უსტარი (ორივე — ხეტაფე, ესპანეთი);

მცველები: გაბრიელ ჰაინცე (რეალი, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (დეპორტივო, ესპანეთი), პაბლო საბალეტა (ესპანიოლი, ესპანეთი), ხავიერ ძანეტი, ნიკოლას ბურდისო (ორივე — ინტერი, იტალია), მარტინ დემიკელესი (ბაიერნი, გერმანია);

ნახევარმცველები: ფერნანდო გაგო (რეალი, ესპანეთი), მაქსიმილიანო როდრიგესი (ატლეტიკო, ესპანეთი), გონსალო როდრიგესი (ვილიარეალი, ესპანეთი), ხონას გუტიერესი (მალიორკა, ესპანეთი), ევერ ბანეგა (ვალენსია, ესპანეთი), ესტებან კამბიასო (ინტერი, იტალია), ხოსე სოსა (ბაიერნი, გერმანია), ხავიერ მასკერანო (ლივერპული, ინგლისი);

თავდამსხმელები: სერხიო აგერო (ატლეტიკო, ესპანეთი), ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), ხულიო კრუსი (ინტერი, იტალია), ლისანდრო ლოპესი (პორტუ, პორტუგალია), ფერნანდო კავენაგი (ბორდო, საფრანგეთი).

ლადო ხომერიკი

კარლოს ტევესი

არა კრიშტიანუს, ბრაკო ფერდინანდს

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ თავის ვარსკვლავს კრიშტიანუ რონალდუს გარკვევით განუცხადა: არსად გაგიშვებთ!

„სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს თემა თავად პორტუგალიელმა წამოჭრა. რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ ესპანეთში თამაში ძველებურად სურს და სულაც არ არის დარწმუნებული, რომ შემდგომ სეზონს ისევ „მანჩესტერის“ მაისურით დაიწყებს.

მანკუნიანელთა დირექტორი დევიდ გილი კი 23 წლის ვარსკვლავის შესახებ ასე ამბობს:

„უკვე ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც რონალდუ ჩვენს გუნდშია და კიდევ ოთხითაც გახლავთ დაკავშირებული, თუმცა მწამს, რეალურად ის გაცილებით მეტხანს დარჩება. ის ჩვენ გვჭირდება. მისი გაყიდვის არანაირი სურვილი არ გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არსად მიდის. ის დიდ კლუბშია, ჯილდოებს იგებს და გაუგებარია, რატომ უნდა წავიდეს სადმე? ჩვენ არ განვეკუთვნებით იმ კლუბებს, რომლებიც თავიანთ საუკეთესო მოთამაშეებს ყიდიან. საკუთარი დანახარჯის გასამართლებლად „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოედანზე უძლიერესი შემადგენლობა სჭირდება, რონალდუს გაყიდვით კი უძლიერეს შემადგენლობას ნამდვილად ვერ მიიღებ“.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში კრიშტიანუ რონალდუს დღევანდელ მეტოქეს, „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის კი სხვა პრობლემა აქვს: ინგლისის ნაკრების მწვრთნელად იტალიელი ფაბიო კაპელოს მისვლამდე გუნდის კაპიტანი იყო, კაპელოს მისვლის შემდეგ კი ტერის სამკლავური ჩამოართვეს და მანჩესტერელ (ისევ ეს „მანჩესტერი“) რიო ფერდინანდს გადასცეს.

ტერი: „ძალიან გულდაწყვეტილი გახლავართ. ინგლისის ნაკრებში ჩემი ადგილი და სამკლავური მჭირდება. იქნებ ის, რაც დავკარგე, მოსკოვურმა ფინალმა დამიბრუნოს, თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ რიომ წლეულს სხვა კლასი აჩვენა. განსაკუთრებით მას მერე, რაც საფრანგეთში, ამხანაგურ შეხვედრაში კაპიტნად დანიშნეს. ის გარდაიქმნა. ჩვენს წინაშე წარსდგა მსოფლიო დონის ფეხბურთელი საუკეთესო ფორმაში“.

პაპუნა კედია

ეტოოს დეზები არ მოერგო

„ტოტენჰემის“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში გახლდათ, რათა იქაურებთან სამუელ ეტოოს ტრანსფერის თაობაზე მოეთათბირა. რამოსს თან ინგლისური კლუბის ერთ-ერთი თავკაციც ახლდა, თუმც „დეზების“ ვიზიტი უშედეგო გამოდგა — დაინტერესებული მხარეები ეტოოზე ვერ შეთანხმდნენ.

„ბარსამ“ კამერუნელის სატრანსფერო ფასად 40 მილიონი ევრო დაასახელა. ინგლისელებს ასეთი სიძვირე არ მოეწონათ, თუმცა ესპანური გაზეთები აღნიშნავენ, მოლაპარაკება რომ გაგრძელებულიყო, ეტოოს კლუბი ხსენებულ 40 მილიონს უთუოდ დაუკლებდაო.

„ტოტენჰემმა“ ვერც ფეხბურთელის ჯამაგირის საქმე მოაგვარა. პრემიერლიგაში გადასვლის შემთხვევაში ეტოოს სეზონში 7 მილიონ ევროს ჰპირდებოდნენ, რაც კამერუნელის ბარსელონური ხელფასის ეკვივალენტურია, ოღონდ „ბარსას“ მსგავს მსუყე პრემიებზე „დეზებს“ სიტყვაც არ დაუძრავთ.

ასე რომ, ხუანდე ლონდონში გაწბილებული დაბრუნდა. „ტოტენჰემმა“ ეტოოსთვის ბრძოლაზე ხელი აიღო და თუ აფრიკელი ფორვარდი ამ ზაფხულს „ბარსას“ მაინც დატოვებს, ეს ალბათ იტალიური „ინტერის“ გამო მოხდება.

ლადო ხომერიკი

სარბიელი ᲓᲐ კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		24 მაისი						
18:00	179	ჰალი-ბრისტოლი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
		ინგლისი. II ლიგა						
		26 მაისი						
18:00	231	სტოკპორტი-როჩდეილი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ჩეხეთი. II ლიგა						
		21 მაისი						
19:00	43	პრეიბრამი-პლუჩინი	1.40	4.00	6.30	1.03	1.14	2.44
19:00	44	ფულნეკი-უსტი ნად ლაბემ	1.60	3.50	4.60	1.09	1.18	1.98
19:00	45	სოკოლოვი-დუკლა პრაღა	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
19:00	46	ბოჰმანხ(პრაღა)-პრაღეც კრალოვე	1.95	3.00	3.45	1.18	1.24	1.60
19:00	47	ჩასლავი-იპლავა	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
19:00	48	ოპავა-ოლომოუცი	1.50	3.60	5.35	1.05	1.17	2.15
19:00	49	ტრინეცი-კრჩი პრაღა	1.50	3.70	5.60	1.06	1.18	2.22
20:00	50	სლოვაცკო-ვიტკოვიცე	1.50	3.50	5.80	1.04	1.19	2.18
		დანია. სუპერლიგა						
		24 მაისი						
17:00	62	კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ	1.17	5.80	20.00	1.00	1.10	4.49
17:00	63	ესბიერგი-ვიბორგი	1.45	4.10	6.30	1.07	1.17	2.48
17:00	64	რანდერსი-ბრიონდბიუ	2.85	3.40	2.30	1.55	1.27	1.37
17:00	65	ორჰუსი-ჰორსენსი	2.60	3.30	2.55	1.45	1.28	1.43
17:00	66	ნორდსიელანდი-მიდტიულანდი	3.90	3.60	1.80	1.87	1.23	1.20
17:00	67	ოლბორგი-ოდენსე	1.95	3.40	3.55	1.23	1.25	1.73
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		24 მაისი						
21:00	83	მოლდე-რუსენბორგი	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		21 მაისი						
20:00	227	სანდეფიორდი-ხოუნდალი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
		25 მაისი						
20:00	85	სტარტი-ოდ გრენლანდი	2.50	3.50	2.50	1.45	1.25	1.45

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა						
		21 მაისი						
20:30	228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
21:00	229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		ფინეთი. ვაიკაუს ლიგა						
		22 მაისი						
19:30	101	როვანიემი-ტურკუ	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
19:30	102	ინტერი-ვეს	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:30	103	ტამპერე-ჯტპ	1.35	4.10	8.50	1.01	1.16	2.76
19:30	104	მარიეჰამნი-კუოპიო	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	105	ჰონკა-ჰიკ	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:30	106	მიუპა-ლაჰტი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
19:30	107	იარო-ჰაკა	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		23 მაისი						
22:45	127	ბოჰემიანი-გალვეი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:45	128	ბრეი-კორკი	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
22:45	129	დერი-დუბლინი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:00	130	შემროკი-დროგედა	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
22:45	131	კობი-ფინ ჰარპსი	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
22:45	132	სლიგო-სტ.პატრიკსი	2.75	3.10	2.35	1.45	1.26	1.33
		აშშ. MLS						
		21 მაისი						
23:45	133	ტორონტო-ვაშინგტონი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ჩემპიონთა. ლიგა						
		21 მაისი						
22:45	1	მანჩესტერი-ჩელსი	2.40	3.00	3.20	1.33	1.37	1.54
		AFC. ჩემპიონთა ლიგა						
		21 მაისი						
13:30	224	მელბურნი (ავსტრალ)-ჩინური(ტაიდ)	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
14:00	225	პოპანგი(კორ)-ბინ დუანგი(ვიეტ)	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
14:00	226	გამბა(იაპო)-ჩუნამი(კორ)	1.35	4.10	6.90	1.01	1.12	2.57
		22 მაისი						
11:00	223	ჩანგჩუნი (ჩინ)-ადელაიდა(ავსტრალ)	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საერთაშორისო. ტურნირი ტულონში(20)						
		21 მაისი						
17:45	235	თურქეთი20-აშშ20	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
20:15	236	კოტ დიუარი20-იტალია20	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები						
		22 მაისი						
14:00	203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		23 მაისი						
14:00	204	ავსტრალია-განა	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
19:00	205	რუსეთი-ყაზახეთი	1.07	7.00	16.00	1.00	1.00	4.86
22:15	232	სლოვენია-ბოსნია	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		24 მაისი						
22:30	206	ჰოლანდია-უკრაინა	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
20:00	207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
19:00	208	ხორვატია-მოლდოვა	1.12	6.00	15.00	1.00	1.04	4.28
21:00	209	უნგრეთი-საბერძნეთი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
22:45	210	ირლანდია-სერბეთი	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
		25 მაისი						
17:00	211	თურქეთი-ურუგვაი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
		იტალია. თასი						
		24 მაისი						
22:00	222	რომა-ინტერი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		შოტლანდია. თასი						
		24 მაისი						
18:00	174	რეინჯერსი-ქუინი	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42
		საფრანგეთი. თასი						
		24 მაისი						
23:00	240	პსჟ-ლიონი	4.40	3.20	1.75	1.85	1.25	1.13
		სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი						
		21 მაისი						
23:45	218	ატლასი-ბოკა ხუნიორსი	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
23:45	219	ფლუმინენსე-სან პაულუ	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		22 მაისი						
23:45	220	კუიტო-სან ლორენსო	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
23:45	221	სანტოსი-ამერიკა	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	მანჩესტერი-ჩელსი	2.80	1.90	3.05	1.13	1.45	1.17
10174	რეინჯერსი-ქუინი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10179	ჰალი-ბრისტოლი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10204	ავსტრალია-განა	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10206	ჰოლანდია-უკრაინა	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10207	შვეიცარია-სლოვაკეთი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10209	უნგრეთი-საბერძნეთი	3.25	2.00	2.70	1.23	1.47	1.14
10210	ირლანდია-სერბეთი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10222	რომა-ინტერი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10232	სლოვენია-ბოსნია	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10240	პსჟ-ლიონი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	მანჩესტერი-ჩელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11174	რეინჯერსი-ქუინი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11179	ჰალი-ბრისტოლი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11204	ავსტრალია-განა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11205	რუსეთი-ყაზახეთი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11206	ჰოლანდია-უკრაინა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11207	შვეიცარია-სლოვაკეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11208	ხორვატია-მოლდოვა	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11209	უნგრეთი-საბერძნეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11210	ირლანდია-სერბეთი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11222	რომა-ინტერი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11229	იორგრიტე-ფალკენბერგი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11232	სლოვენია-ბოსნია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11240	პსჟ-ლიონი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	მანჩესტერი- ჩელსი	1.50	2.50
12174	რეინჯერსი-ქუინი	2.00	1.60
12179	ჰალი-ბრისტოლი	1.60	2.00
12203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.70	1.90
12204	ავსტრალია-განა	1.70	1.90
12205	რუსეთი-ყაზახეთი	2.20	1.40
12206	ჰოლანდია-უკრაინა	1.90	1.70
12207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.90	1.70
12208	ხორვატია-მოლდოვა	2.10	1.50
12209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.70	1.90
12210	ირლანდია-სერბეთი	1.70	1.90
12222	რომა-ინტერი	1.80	1.80
12228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	1.90	1.70
12229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.90	1.70
12232	სლოვენია-ბოსნია	1.80	1.80
12240	პსჟ-ლიონი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13001	მანჩესტერი-ჩელსი	1.90	1.70
13179	ჰალი-ბრისტოლი	1.80	1.80
13203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.70	1.90
13204	ავსტრალია-განა	1.70	1.90
13205	რუსეთი-ყაზახეთი	2.30	1.50
13206	ჰოლანდია-უკრაინა	1.70	1.90
13207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.70	1.90
13208	ხორვატია-მოლდოვა	2.10	1.50
13209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.80	1.80
13210	ირლანდია-სერბეთი	1.70	1.90
13222	რომა-ინტერი	1.60	2.00
13228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	1.60	2.00
13229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.60	2.00
13232	სლოვენია-ბოსნია	1.70	1.90
13240	პსჟ-ლიონი	1.90	1.70

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17001	მანჩესტერი-ჩელსი	1.85	1.95
17174	რეინჯერსი-ქუინი	1.85	1.95
17179	ჰალი-ბრისტოლი	1.85	1.95
17203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.85	1.95
17204	ავსტრალია-განა	1.85	1.95
17205	რუსეთი-ყაზახეთი	1.85	1.95
17206	ჰოლანდია-უკრაინა	1.85	1.95
17207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.85	1.95
17208	ხორვატია-მოლდოვა	1.85	1.95
17209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.85	1.95
17210	ირლანდია-სერბეთი	1.85	1.95
17222	რომა-ინტერი	1.85	1.95
17228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	1.85	1.95
17229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.85	1.95
17232	სლოვენია-ბოსნია	1.85	1.95
17240	პსჟ-ლიონი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	მანჩესტერი-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15179	ჰალი-ბრისტოლი	3.00	2.80	2.00
15203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	3.00	2.80	2.00
15204	ავსტრალია-განა	3.00	2.80	2.00
15206	ჰოლანდია-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15207	შვეიცარია-სლოვაკეთი	3.00	2.80	2.00
15209	უნგრეთი-საბერძნეთი	3.00	2.80	2.00
15210	ირლანდია-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15222	რომა-ინტერი	3.00	2.80	2.00
15228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	3.00	2.80	2.00
15229	იორგრიტე-ფალკენბერგი	3.00	2.80	2.00
15232	სლოვენია-ბოსნია	3.00	2.80	2.00
15240	პსჟ-ლიონი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	მანჩესტერი-ჩელსი	1.70	1.95
16179	ჰალი-ბრისტოლი	1.62	2.05
16203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.58	2.10
16204	ავსტრალია-განა	1.95	1.65
16206	ჰოლანდია-უკრაინა	1.17	4.10
16207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.23	3.60
16209	უნგრეთი-საბერძნეთი	1.95	1.70
16210	ირლანდია-სერბეთი	1.65	2.05
16222	რომა-ინტერი	1.70	1.95
16228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	1.40	2.55
16229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.17	4.10
16232	სლოვენია-ბოსნია	1.52	2.20
16240	პსჟ-ლიონი	3.00	1.30

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	მანჩესტერი-ჩელსი	1.85	1.95
14179	ჰალი-ბრისტოლი	1.80	2.00
14203	კოტ დიუარი-პარაგვაი ნ	1.80	2.00
14204	ავსტრალია-განა	2.00	1.80
14206	ჰოლანდია-უკრაინა	1.30	2.50
14207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.45	2.40
14209	უნგრეთი-საბერძნეთი	2.00	1.80
14210	ირლანდია-სერბეთი	1.80	2.00
14222	რომა-ინტერი	1.85	1.95
14228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	1.70	2.20
14229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.30	2.50
14232	სლოვენია-ბოსნია	1.75	2.10
14240	პსჟ-ლიონი	2.40	1.45

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

სპორტის სასახლე ორივესია

კოტე ტუღუშს სამართლიან თამაშში წაგება არ ეთაკილება

სუპერლიგის ფინალური სერიის რუსთავულ მატჩებში მეტოქეებმა გამარჯვებები გაიყვეს და „ავიამშენ“ — „ენერჯი-ინვესტის“ დაპირისპირება ხვალიდან თბილისში გადმოინაცვლებს. რუსთავულ მატჩებში თუკი ვინმე გამოირჩა, უპირველესად, თბილისელთა გამთამაშებელი კოტე ტუღუში, რომელმაც პირველი შეხვედრა პირადად მოაგებინა „ავიამშენს“ და მეორეშიც ახლო იყო იმავეს გამეორებასთან, მაგრამ... რუსთავულ ამბებზე აღარ ვფიქრობ, ახლა მთელი ყურადღება მომდევნო მატჩებზე მაქვს გადატანილიო, გვითხრა გუშინ ტუღუშმა, საკომენტაროდ რომ შევეხმიანეთ

— კმაყოფილი უნდა იყოთ, „ენერჯი-ინვესტს“ მოედნის უპირატესობა წაართვით...

— სიმართლე გითხრა, ფინალური სერიის დაწყებამდე რომ ეთქვათ, რუსთავში ერთი თამაშს მოიგებთო, კმაყოფილი ვიქნებოდი. ჩვენი მიზანიც ეს იყო, რომელიც საბოლოოდ შევასრულეთ კიდეც, მაგრამ ამჯერად გული მწყდება, რადგან მეორე თამაშის მოგებაც შეგვეძლო.

— და რამ შეგიშალათ ამაში ხელი?

— სამართლიან ბრძოლაში წაგებაზე გული არ დამწყდება. ასეთ შემთხვევაში მე პირველი მივულოცავ მეტოქეს გამარჯვებას, მაგრამ რუსთავულ მატჩებში, ვფიქრობ, რომ დავიჩაგრეთ.

— ალბათ მსაჯობას გულისხმობ, „ავიამშენის“ მწვრთნელმოთამაშეები ხომ არბიტრებზე საშინლად გულმოსულები დარჩით...

— მე ვერც ერთ მსაჯს ხელს ვერ დავადებ, რომ ისინი მიკერძოებულები იყვნენ, მაგრამ ჩვენ საზიანოდ მათ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. სხვა ფაქტებს ვერ გამოვეკიდები, მაგრამ ერთი-ორჯერ მათ ისეთი ჯარიმა დაუსტვინეს ჩვენიანზე, როცა მეტოქეს საერთოდ არავინ შეხებია. ეს მომენტები ჩემს თვალწინ მოხდა და ამიტომაც აღვნიშნავ, თორემ დანარჩენებზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი. თუმც, რაც იყო, იყო, თავიდან რუსთავში ორივე მატჩის მოგებაზე არც კი ვოცნებებდით და ახლა საკუთარ თავში უფრო დავრწმუნდით.

— პირველი მატჩი კარგად კი ჩაატარეთ, მაგრამ ბოლოში გაგიჭირდათ და შენ რომ არა, ალბათ წააგებდით კიდეც...

— ეს იყო „ავიამშენის“ საუკეთესო მატჩი ამ სეზონში. ყველამ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას, მაგრამ ბოლოს გადავიღალეთ. რუსთაველებმა საკმაოდ დიდი ჩამორჩენა გაგვიბათილეს და დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მე ბოლომდე მჯეროდა, რომ მოვიგებდით. ყველა არაქათგამოცლილი იყო და გადავწყვიტე, საკუთარ თავზე ამეღო თამაში, რამაც გამიმართლა. ბოლო წუთზე 2 სამქულიანი ჩავაგდე და ჩვენი მთავარი მიზანი, რომ პირველი მატჩი აუცილებლად მოგვეგო, შევასრულეთ.

— რუსთაველთა სნაიპერი ბესიკ ლეჟავა რომ არ გაეგდოთ, მაინც მოახერხებდით გამარჯვებას?

— არა მგონია, რომ მოგება ხელიდან გაგვეშვა. იმ დღეს ყველაფერი გამოგვდიოდა.

— მომავალ მატჩებს რა განწყობით ხვდები?

— დავამტკიცეთ, რომ „ენერჯი-ინვესტზე“ ნაკლებები არაფრით ვართ, არადა, ფინალური სერიის დაწყებამდე უპირატესობას ყველა რუსთაველებს ანიჭებდა. თბილისური მატჩები ჩვენთვის შვება ნამდვილად არ იქნება, რადგან სპორტის სასახლე, ასე ვთქვათ, ნეიტრალურ დარბაზია ორივე გუნდისთვის. დარწმუნებული ვარ, იქ რუსთაველების ქომაგები უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ჩვენი.

— ტრავმირებულ ირაკლი ხოშტარიას თორნიკე ნინიაშვილიც შეემატა, თუ ის მაინც ითამაშებს მომდევნო მატჩებს?

— ნინიაშვილს კოჭი სტკივა და ალბათ ვერ დაგვეხმარება. ის კი არა, ვახტანგ მინაშვილმაც დაიზიანა ფეხი და ჯერაც უცნობია, ითამაშებს თუ არა.

— შანსებს როგორ აფასებ?

— მცირე უპირატესობა მაინც რუსთაველებს აქვთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ, და ეს წინა მატჩებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია.

ირაკლი პერტაია

მარკოიშვილის 23 კიევველებს არ ეყოთ

უკრაინულ ფინალში მუვიდოობაა



საქართველოში საჩემპიონო ბრძოლაა გახურებული, ქართველი მანუჩარ მარკოიშვილი კი უკრაინული ტიტულის მოგებას ეშურება და, აქაურთა დარად, მანაც 2 საფინალო მატჩი მოილია. რეგულარული ჩემპიონატის მომგები და, შესაბამისად, მოედნის უპირატესობის მქონე „ბკ კიევი“ ფინალურ სერიაში მოქმედ ჩემპიონ მარიუპოლის „აზოვმაშს“ ერკინება და ტრავმამოშუშებული ქართველი უკანახაზელიც დიდად ეხმარება დედაქალაქელებს.

მოედნის უპირატესობის მფლობელიო, ვთქვით კიეველებზე, მაგრამ მარკოიშვილის გუნდმა ეს კოზირი უკვე გაფლანგა, რაკი სადებიუტო გამარჯვების შემდეგ მეორე საშინაო შეხვედრა წააგო და ფინალურ სერიაც მარიუპოლში ინაცვლებს. ქართველმა უკანახაზელმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა სწორედ მეორე ფინალურ შეხლაში ჩაატარა, მოედანზე მყოფთაგან ყველაზე მეტი, 23 ქულა მოიმკა, მაგრამ ამით თავისიანები ვერ იხსნა.

პირველ მატჩში წაგებულმა „აზოვმაშის“ მწვრთნელმა მეჰმედ ბეჩიროვიჩმა სასტარტო ხუთეულში ცვლილება მოახდინა, მოედანზე თავიდანვე შეუშვა ბერძენი პანაიოტის ლიადელისი, რომელმაც თავისი დიდი გამოცდილება მარიუპოლელებს კარგად მოახმარა. სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ და უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს 29:12 იგებდნენ.

თავის მხრივ, კიეველთა წინამძღოლიც ცდილობდა ეფექტური ტაქტიკის მიგნებას, მაგრამ ბოლო მეოთხედამდე არაფერი გამოუვიდა. მანამდეც აქტიური მანუჩარ მარკოიშვილი კი გადამწყვეტ ათწუთეულში სულ მთლად აფეთქდა და „აზოვმაშის“ კალათას სამქულიანების სეტყვა დააყარა. ქართველი უკანახაზელი დაცვაშიც მარჯვობდა და საფინალო სირენამდე ხუთიოდ წუთით ადრე სხვაობა 7 ქულამდეც შეამცირა, მაგრამ მარიუპოლელმა მაღლებმა იმარჯვეს, რაც სტუმართა გასამარჯვებლად საკმარისი აღმოჩნდა. „აზოვმაშმა“ საბოლოოდ 81:76 იძალა.

მარკოიშვილმა მოედანზე 28 წუთი გაატარა და 23 ქულასთან ერთად 3 მოხსნა, 1 პასი და ამდენივე დაფარება მიითვალა. მან 9 ცდიდან 5 სამიანი ჩააგდო, ხოლო საშუალო დისტანციიდან მხოლოდ ერთი აუცდა (3-დან 2).

შედარებით მოკრძალებული იყო მარკოიშვილი ფინალური სერიის პირველ, კიეველთა მიერ მოგებულ მატჩში. 25 წუთში მან 8 ქულა, 3 პასი და 2-2 ჩაჭრა-მოხსნა მიითვალა. „ბკ კიევმა“ კი პუჰ ჯეტერისა და კაპიტან არტურ დროზდოვის კომბინირებული 54 ქულის წყალობით მოიგო.

ფინალური სერია 4 გამარჯვებამდეა და მომდევნო 2 მატჩს მარიუპოლი უმასპინძლებს.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

გამოცდილებამ რა ჰქმნა

19 მაისი

დასავლეთი

ნიუ ორლეანი 82:91 სან ანტონიო

ნიუ ორლეანი: ვესტი(20 ქულა, 9 მოხსნა), პოლი (18 ქულა, 14 პასი, 8 მოხსნა, 5 ჩაჭრა), პარგო (18), ჩანდლერი (13 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიო: ჯინობილი (26), პარკერი (17), დანკანი (16 ქულა, 14 მოხსნა)

მაშ, მაინც „სან ანტონიო“ და არა „ნიუ ორლეანი“, ძველნაცადი და არა ახალი ტალღა.

წლების განმავლობაში ათას დარჯაკში გატარებულმა „სან ანტონიო სფურზმა“ თავისი გასაკეთებელი მაინც გააკეთა, დაამარცხა და გაავდო ისეთი გუნდი, ვისაც სულ ოდნავი საპლეიოფო გამოცდილება რომ ჰქონოდა, იქნებ ჩემპიონობაზე გაეწია. მაგრამ ამ დაძაბული სერიის მეშვიდე და გადამწყვეტ თამაშში გამოჩნდა, ვინაა ნამდვილი ჩემპიონი.

აქამდე „სან ანტონიო“ ერთთავად აგებდა ნიუ ორლეანში. „კრაზანებმა“ იქიდან სამივეჯერ დაკბენილები გამოუშვეს და რაკი 3:3 ანგარიშზე ბოლო ჯახიც მისისიპისპირეთში იმართებოდა, ყველა რაღაც ახლის მოლოდინში გასუსულიყო. მაგრამ ტეხასელებმა მოახერხეს ნავსის გატეხვა და სტუმრად მოპოვებული სასიცოცხლო გამარჯვებით გავიდნენ დასავლეთის ფინალში, სადაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ შეხვდებიან. სხვათა შორის, „სან ანტონიოს“ ეს გასვლითი გამარჯვება მხოლოდ მესამე იყო წლევანდელი პლეი ოფის მეორე რაუნდის 26 მატჩში. ოთხიდან ერთი სერია სულაც ისე დამთავრდა, რომ შვიდივე თამაში მასპინძლებმა მოიგეს.

„სან ანტონიომ“ გადამწყვეტი თამაში უკიდურესად ფრთხილად და გონივრულად წარმართა, საწყის წუთებში მოქანავე სასწორი მალევე გადახარა თავის მხარეს და მეთოდურად შეუდგა მეტოქის დამუშავებას. სტუმრებმა მთლიანად ვერა, მაგრამ მაინც მაქსიმალურად შეზღუდეს მასპინძელთ გამთამაშებელი კრის პოლი, ვინაც ამ სერიაში საშუალოდ 24 ქულას და 11 პასს აკეთებდა. მერვე წუთისთვის პოლს უკვე 4 პასი ჰქონდა და ანგარიში 16:16 გახლდათ, როცა „სან ანტონიომ“ ზედიზედ ორ შეტევაში იხეირა, ხუთი ქულით დაწინაურდა და აღარც გაუშვია ეს უპირატესობა ხელიდან.

გამოუცდელმა „ნიუ ორლეანმა“ თამაში ფაქტობრივად მეორე მეოთხედის დასაწყისში წააგო, როცა რამდენიმე შეტევაში ბურთი ან ააცილა, ან დაკარგა და 10 ქულით ჩამორჩა მეტოქეს. „სან ანტონიოს“ ესეც ეყო — მეტოქის შეტევებს იგერიებდა, თავადაც ბასრად უტევდა და ტაქტიკური მანევრებით მიაგორებდა მატჩს. სტუმრებმა ტაიმი 9 ქულით მოიგეს, მესამე მეოთხედში სხვაობა 15 ქულამდეც გაზარდეს, ხოლო მეოთხეში შტურმზე გადასული „ნიუ ორლეანი“ 3 ქულამდე რომ მიუახლოვდა, იქაც ნაცად ხერხს მიმართეს და ბურთი მაუ ჯინობილის მისცეს. მანუს ბურთს ვინ წაართმევს, აქეთ ართმევს სხვებს, ნიუორლეანელებსაც მასზე დაჯარიმებაღა დარჩენოდათ და სანანტონიოელთა არგენტილელმა მსროლელმაც უკანასკნელ 40 წამში უშეცდომოდ ნასროლი ექვსი საჯარიმოთი მოამთავრა საქმე.

ვანო კოგიაშვილი

ბაშოს თავში ბულგარელია

ბულგარელი ოძეკი კოტოოსიუ 10 ორთაბრძოლის შემდეგ კვლავაც დაუმარცხებელია და მაისის ბაშოს ერთპიროვნულად ლიდერობს. ამჯერად, ბულგარელმა ოკურიტაოსით დაამარცხა დასავლეთის მე-3 მაეგაშირა კაკურიუ.

ბაშოზე პირველად წააგო იოკოძუნა ჰახუკომ. იგი მისთვის უხერხულ მეტოქე სეკოვაკე ამასთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ამამ ჰაკუხოს ბოლო რვა თვის განმავლობაში ოთხჯერ მოუგო.

დიდმა ჩემპიონმა ასასიორუმ კი რევანში აუღო მარტის ბაშოზე მარცხის გამო სეკოვაკე კოტოსეგიკუს. მონღოლმა დიდვარსკვლავმა მეტოქე იორიკირით დაამარცხა. ახლა ასასიორუც და ჰაკუხოც თითოთითო წაგების პატრონები არიან და ტურნირზე მეორე ადგილს იყოფენ.

დღევანდელი ორთაბრძოლებიდან უდავოდ კოტოოსიუსა და ასასიორუს შერკინება იქნება გამორჩეული, ჰაკუხო კი ოძეკი ტიეტაიკასთან შეეცდება თავისი მაღალი კლასის დამტკიცებას.

მაისის ბაშოზე მეორედ გაიმარჯვა ლევან ცაგურიამ. კოკაით წოდებულმა ქართველმა გოლიათმა ხიკიოტოსით მოუგო აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა მიაბიამას. კოკაი ნაადრევად გამოემშვიდობა დადებით ბალანსს, რის გამოც წოდებაში დაქვეითება არ ასცდება. ახლა მის ანგარიშზე ათი შეხვედრიდან ორი მოგებაა. მომდევნო ორთაბრძოლას „შავი ზღვა“ ექვსი გამარჯვების მქონე ამასთან გამართავს.

ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე ოსიდასით დამარცხდა აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა კაკიძოესთან. გორგაძეს მხოლოდ ოთხი გამარჯვება აქვს. დადებით ბალანსს კი სულ მცირე, რვა გამარჯვება სჭირდება. ვნახოთ, რას იზამს შემდეგ შერკინებაში ტოჩინოშინი. იგი სამი გამარჯვების მფლობელ აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირა ტაკამისაკარის შეხვდება.

ზურაბ მიგრიაული

უფულო, მაგრამ ფასდაუდებელი

ლეილა მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე 19 მაისს დაიწყო და ერთ კვირას გასტანს იუჯითი-ს თასის გათამაშება 1992, 94, 96, 98 წლებში დაბადებულ ჩოგბურთელებს შორის. ამასთან დაკავშირებით საჩოგბურთო აკადემიაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა და კომპანია იუჯითი-ს წარმომადგენელმა ერმილა სულაძემ ისაუბრეს.

ლეილა მესხი: ტურნირი ორშაბათს დაიწყო და დამდეგ კვირას ჩემპიონ-პრიზიორებს დავაჯილდოვებთ. მინდა, მადლობა გადაუხადო კომპანია იუჯითის, ვინაიდან უკვე მეორე წელია, ჩვენი პარტნიორია და ამ შეჯიბრებასაც მეორედ სპონსორობს. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენს კორტებზე 200-მდე ბავშვი ითამაშებს და ფასდაუდებელ გამოცდილებას შეიძენს. გეტყვით, რომ ბავშვთა ტურნირებში ფულადი საპრიზო ფონდი არ შეიძლება იყოს. სამაგიეროდ, ახალგაზრდა სპორტსმენებს ძვირფასი და ხარისხიანი საჩოგბურთო ინვენტარით დავაჯილდოვებთ. მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ჩვენს პარტნიორებს. ჩვენ ბავშვთა ჩოგბურთზე ვართ ორიენტირებულნი და ამიტომ ნებისმიერი დახმარება ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია.

ერმილა სულაძე. გვეამაყება, რომ ამ ტურნირის სპონსორები ვართ. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან. ამ ეტაპზე მხოლოდ ბავშვთა ჩოგბურთს ვეხმარებით, მაგრამ შემდეგ შეიძლება პროფესიონალების ტურნირებიც მოვაწყოთ.

ზურაბ მიგრიაული

მელიქიშვილი ბოფათი იწყებს

ოქსანა კალაშნიკოვამ ვერ შეძლო მოსკოვში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრა. საკვალიფიკაციო ეტაპზე რუს დარია კუჩმინასთან 6:4 4:6 0:6 გამარჯვების შემდეგ ოქსანა უიმედოდ, 1:6 0:6 დამარცხდა 19 წლის ჰოლანდიელ მარლოტ მედენსთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 741-ე ადგილი უკავია.

ამასობაში გაირკვა სოფო მელიქიშვილის პირველი მეტოქის ვინაობა — ამერიკული ლენდესვილის მარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში სოფო მე-6 ნომრად განთესილ შვეიცარიელ სტეფანია ბოფას შეხვდება, ვისაც კლასიფიკაციის 287-ე საფეხური უპყრია.

თავად მელიქიშვილი ამჟამად 974-ეა რეიტინგში, არადა, ორი წლის წინ 259-ე იყო, მაგრამ შემდეგ მისი საქმეები უკან-უკან წავიდა. ლანდესვილური ტურნირი სოფოსთვის პირველია ამ სეზონში და იმედი ვიქონიოთ, რომ წარმატებულიც იქნება.

როდიკი პარიზში არ ჩავა

ენდი როდიკს წლის მეორე სლემტურნირის გამოტოვება მოუწევს. ამერიკელს მხარი აწუხებს და ამის გამო იძულებულია, „როლან გაროსის“ კორტებზე აღარ ითამაშოს. ენდი-ბიჭმა ტრავმა ორი კვირის წინ რომის მასტერსზე გაიმიზეზა — ნახევარფინალში სტანისლას ვავრინკასთან სწორედ ამის გამო ითამაშა მხოლოდ სამი გეიმი და მატჩი ნაადრევად შეწყვიტა.

მართალია, თიხნარზე როდიკი ციდან ვარსკვლავებს არასდროს წყვეტდა „როლან გაროსზეც“ საუკეთესო გამოსვლა სადებიუტი სეზონში ჰქონდა (2001 წელს მესამე წრეს უწია), მაგრამ ენდი მაინც ნაწყენია ბედზე. თანაც წლეულს გრუნტზე არცთუ ურიგოდ ჩოგნაობდა და ეგებ პარიზშიც თავისი საუკეთესო შედეგი ეჩვენებინა.

„ენდის დასვენება მოუწევს. არადა, ბოლო დროს კარგ ფორმაში იყო და ამაზე ძლიერად თიხნარზე არასდროს უთამაშია. ენდი იმედოვნებდა, რომ პარიზში თავის საუკეთესო თამაშს აჩვენებდა, მაგრამ...“ — დანანებით განაცხადა როდიკის უფროსმა ძმა ჯონმა.

ამერიკელისთვის ახლა მთავარი უიმბლდონისთვის ჯანზე მოსვლა და ფორმაში ჩადგომა იქნება. უფროსი როდიკი იმედოვნებს, რომ ენდი მალე შეძლებს ვარჯიშის განახლებას და „ქვინზ კლაბის“ ტურნირისთვის (წინასაუიმბლდონო გასახურებელი შეჯიბრი) სრულ მზადყოფნაში იქნება:

„წესით 10-12 დღე დასვენება უნდა ეყოს. ძალიან გამიკვირდება, ამ დროში ჯანზე მოსვლა რომ ვერ მოასწროს“.

კახა ლომაშვილი



პლეი ოფი ნახევარფინალი

დასავლეთი

დალასი 1:4 დეტროიტი

0:3 0:1 1:0

სერია დეტროიტმა მოიგო 4:2

0:1 დრეიპერი (4, დრეიკი, სტიუარტი), 0:2 დაციუკი (12, უმრ. ლიდსტრომი, ზეტერბერგი), 0:3 დრეიკი (17, ლებდა, სამუელსონი), 0:4 ზეტერბერგი (24, უმც. უასისტენტოდ), 1:4 რობიდა (43, უმრ. რიბეირო, რიჩარდსი)

ფინალური სერიის განრიგი

26 და 27 მაისს დეტროიტში, 29 მაისს და 1 ივნისს პიტსბურგში და თუ საჭირო გახდა, 3 ივნისს დეტროიტში, 5 ივნისს პიტსბურგში და 8 ივნისს ისევ დეტროიტში

ფრთიანი ფინალი

წითელი ფრთები და პინგვინის ფრთები

დალას დრეიკი

სტენლის თასს ერთმანეთში ფრთოსნები — „წითელფრთიანები“ და „პინგვინები“ — გაითამაშებენ. ეს ყველაფერი ბოლო ორ დღეში გაირკვა, როცა ჯერ „პიტსბურგმა“ გადაურბინა „ფილადელფიას“ და ექვსი უპასუხო შაიბა გაუტანია, გუშინ გამთენიისას კი „დეტროიტმა“ გასვლაზე კიდევ ერთხელ მოუგო „დალასს“ და ისედაც გაჯანჯლებული საქმე როგორც იქნა მოათავა.

„პინგვინებმა“ ფინალისკენ გზა უფრო იოლად გაიარეს და მხოლოდ ორი შეხვედრა წააგეს. სიდნი კროსბის, ევგენი მალკინისა და მარიან ჰოსას ბრწყინვალე თამაშის წყალობით ანტარქტიდის ბინადრებმა ვინც გზაზე შემოეყარათ, ყველა გაბღღვნეს — ჯერ „ოტავას“ გადაურიბინეს და შარშანდელ ფინალისტს მატჩიც არ მოაგებინეს, ხოლო „რეინჯერსთან“ და „ფილადელფიასთან“ უცბად დაწინაურდნენ 3:0 და მხოლოდ შემდეგ დათმეს თითო შეხვედრა.

ცოტა მეტი წვალება დასჭირდა „დეტროიტს“, რომელსაც ყველაზე მეტად, პირველ წრეში „ნეშვილთან“ გაუჭირდა. თუმც თანადივიზიონელებს მიჩიგანელებმა კლასის ხარჯზე მოუგეს და შემდეგ წრეში ძველი მტერი „კოლორადო“ ლუკმა-ლუკმა აქნეს. „წითელფრთიანებს“ კონფერენციის ფინალში „დალასთან“ სერიოზულ ჯახს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ „დეტროიტი“ ძალიან შთამბეჭდავი თამაშით 3:0 გაიჭრა წინ და ყველა კრიტიკოსი დაადუმა. თუმც გუნდმა ცხოვრება მაინც გაირთულა და ტეხასელებთან ზედიზედ ორი წაგებით სერიის ბედი თითქოს სათუო გახადა, მაგრამ მიჩიგანალებმა გუშინ გამთენიისას ისევე ბრწყინვალე ჰოკეი აჩვენეს და ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ფინალის საგზური გაინაღდეს.

„დეტროიტმა“ საქმე უკვე პირველივე პერიოდში მოათავა, როცა კრის დრეიპერმა, პაველ დაციუკმა და დალას დრეიკმა სამჯერ დალაშქრეს ტეხასელთა კარი და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს. შეხვედრის გმირი კი უდავოდ 39 წლის ვეტერანი დრეიკი იყო, რომელმაც ჯერ დრეიპერს უპასა, შემდეგ კი წლევანდელ პლეი ოფში თავისი პირველი შაიბა შეაგდო.

„მწვრთნელებს ვთხოვე, სათადარიგოთა სკამზე ჰენრიკ ზეტერბერგთან ახლოს დავესვი, რომ მისი აურა შემხებოდა და მგონი, გაამართლა კიდეც“ — ხუმრობდა ნ.ჰლში მე-16 სეზონის გამტარებელი დრეიკი, რომელიც პირველად ითამაშებს სტენლის თასის ფინალში.

„დეტროიტმა“ დაარღვია ბოლო წლების ტრადიცია და რეგულარული ჩემპიონატის მოგების შემდეგ სტენლის თასის ფინალს მაინც უწია. ბოლოს ამის გაკეთება იმავე „დეტროიტმა“ შეძლო 2002 წელს.

2003 წლის შემდეგ კი ეს პირველი სრულიად ამერიკული ფინალი იქნება. თუმც „დეტროიტი“ და „პიტსბურგი“ აქამდე პლეი ოფში არასდროს შეხვედრიან. მეტიც, გუნდებს ერთმანეთთან არც რეგულარულში უთამაშიათ — მათი ბოლო შეხვედრა შარშანწინ შედგა და მაშინ პიტსბურგში „წითელფრთიანებმა“ 2:0 იმარჯვეს. თუმც იმ შეხვედრის შედეგს ახლა არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

საერთოდ, ამ ფინალში რომელიმე გუნდისთვის უპირატესობის შინიჭება ფრიად გაძნელდება, რადგანაც მთელი სეზონის განმავლობაში ორივე მშვენიერ და სრულყოფილ ჰოკეის თამაშობს. „პიტსბურგი“ თითქოს უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ გამოცდილება „დეტროიტის“ მხარესაა. გარდა ამისა, ახალგაზრდა „პინგვინებს“ ჯერ არ უთამაშიათ ისეთი დაწყობილი დაცვის წინააღმდეგ, როგორიც მიჩიგანელებს აქვთ — კროსბისა და მალკინს აქამდე არ გამოუცდიათ საკუთარი ძალები ნიკლას ლიდსტრომისა და ბრაიან რაფალსკის დონის მცველების წინააღმდეგ...

თუმც ერთი ნაღდია — ფინალი ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს, რადგანაც კარგა ხანია, ორი ასეთი მძლავრი გუნდი არ დატაკებია ერთმანეთს.

კახა ლომაშვილი

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ალონსო სიურპრიზს გეგმავს

საპირველფორმულო სამყარო მონაკოს დიდი პრიზის მოლოდინშია. მონტე კარლოს ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ და აღმართ-დაღმართიან ქუჩებში რბოლა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და აღმატებული პრესტიჟითაც სარგებლობდა.

ახლაც ასეა და კვირას გასამართი რბოლისთვის გუნდები გამალებულნი ემზადებიან. განსაკუთრებული მოლოდინი აქვს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს, ვისი „რენოც" ჯერ ვერ უწევს კონკურენციას „ფერარის", „მაკლარენსა" და „BMW-ზაუბერს", მაგრამ ესპანელს მონტე კარლოს სპეციფიკის იმედი აქვს და ფიქრობს, რომ კონკურენტებისთვის სიურპრიზის შეთავაზება შეუძლია.

„ჩვენი პროგრესი აშკარაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერაც მოწინავე სამი გუნდის უკან ვართ და მე, რეალურად, ოდენ მეშვიდე ადგილისთვის ვიბრძვი. მაგრამ მონტე კარლოს ქუჩები, ეს განსაკუთრებული ტრასაა, სადაც მანქანის სიმძლავრეზე მეტად მრბოლის ტალანტი და გამოცდილება ფასობს. ამ ტრასასთან კარგი მოგონებები მაკავშირებს. მე აქ მომიგია და ეს დამატებით მოტივაციას მმატებს. ვფიქრობ, რომ შეგვიძლია, მეტოქეებს სიურპრიზი შევთავაზოთ და მე გაფაციცებული ვიქნები მათი შეცდომების მოლოდინში" — განაცხადა ფერნანდო ალონსომ.

კახა ლომაძე

ოპტიმისტი ტაისენი და ფრთხილი ზაუბერი

„BMW-ზაუბერის" ხელმძღვანელი მარიო ტაისენი კმაყოფილია თავისი გუნდის დღევანდელი მდგომარეობით და გასულ ხუთ ეტაპზე მოპოვებული ქულების ოდენობით. ტაისენი ფიქრობს, რომ მისი პილოტები მომავალშიც წარმატებით გააგრძელებენ რბოლას და ქულათა მარაგს მონტე კარლოშიც გაზრდიან.

„მონაკოს დიდი პრიზი განსაკუთრებული ეტაპია. სილვერსტოუნთან, მონცასთან და სპასთან ერთად, სწორედ მონტე კარლოს ქუჩებში რბოლამ შექმნა ფორმულა 1 ისეთი, როგორიც არის. ამ რბოლას განსაკუთრებული ხიბლი აქვს და აქ მოპოვებული წარმატებაც განსაკუთრებით ფასობს.

„BMW-ზაუბერი" მზად არის საიმისოდ, რომ წინა ეტაპებზე დაწყებული საქმე მონაკოშიც გააგრძელოს. ჩვენ ქულათა სოლიდური მარაგი გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ კვირა საღამოს უფრო მეტი გვექნება" — ბრძანა ტაისენმა.

თავის შეფს გუნდის პოლონელი მრბოლი რობერტ კუბიცაც ეთანხმება და ფიქრობს, რომ „BMW-ზაუბერს" მონტე კარლოში მოგება შეუძლია. მსგავსი აზრი სამეფო რბოლების ლეგენდამ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამაც გამოთქვა.



პეტერ ზაუბერი

აი, „ზაუბერის" ყოფილი მფლობელი პეტერ ზაუბერი კი სიფრთხილეს ამჯობინებს და ამბობს: „ლაუდა და კუბიცა ფიქრობენ, რომ ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია. ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ, რომ „BMW-ზაუბერის" შანსებს ასე აფასებენ, მაგრამ ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, ზეწოლასაც ახდენს გუნდზე — ჩნდება იმის საშიშროება, რომ იმედები ვერ გავამართლოთ".

კახა ლომაძე

როსბერგი პოდიუმისთვის იბრძოლებს

სერ ფრენკ უილიამსის გუნდი „სამეფო რბოლებში" სამ ათეულ წელზე მეტია არის, მაგრამ მონტე კარლოს ქუჩებში მხოლოდ სამი გამარჯვებით დაიკვეხნის — 1980 წელს იქ კარლოს როიტმანმა იმარჯვა, სამი წლის შემდეგ — კეკე როსბერგმა, ხოლო 2003 წელს ხუან პაბლო მონტოია იყო პირველი.

ძნელი სავარაუდოა, „უილიამსმა" მეოთხე გამარჯვებას ახლა მიაღწიოს. სერ ფრენკის გუნდისთვის ამ ეტაპზე პოდიუმიც გადასარევი შედეგი იქნება და სწორედ პოდიუმზე ოცნებობს კეკე როსბერგის ვაჟი ნიკო, ვინც დღევანდელი „უილიამსის" პირველი პილოტია.

ნიკოს კარიერაში წლევანდელი მონაკოს დიდი პრიზი მესამე იქნება. 2006 წელს ფინელი მამის გერმანელმა შვილმა მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო შარშან მეხუთემ უწია ფინიშს და ახლა უფრო წინ წასვლას გეგმავს.

„მოუთმენლად ველი მონტე კარლოს რბოლას. ეს ტრასა, განსხვავებით თურქეთისგან, ჩვენი ბოლიდებისთვის იდეალურია და მჯერა, პატარა იღბალიც თუ დაგვეხმარება, პოდიუმზე შევდგები — განაცხადა ნიკო როსბერგმა და დაამატა — თანაც, ეს ქუჩები ჩემთვის მშობლიურივითაა, რადგანაც ჩემი მშობლები და მეგობრები სწორედ აქ, მონაკოს სამთავრობში ცხოვრობენ და განსაკუთრებული ქომაგობაც გარანტირებული მექნება".

კახა ლომაძე



ÇAYKUR

ÇAYKURSPOR KULÜBÜ DERNEĞİ

Georgian National Handball Federation
Fax: (995 32) 34 48 76

The term of the agreement (dated 28.02.2008) between Sport Club" Saycur spor" and HC "GTU Shevardeni" on the players Levan Berdzenishvili (Passport N 1019827, date of birth 06.07.1986) and Gaga Samkurashvili (Passport N1738134, date of birth 16.12.1988) shortened to May 5 of 2008. According to mutual agreement they will return to HC "GTU Shevardeni" and Sport Club" Saycur spor" has no material and legal claims against the above mentioned players, what is confirmed with signiture and stamp.

With respect

Sport Club "Çaykur Rizespor"
Management Board

Çay İşletmeleri Genel Müdürlüğü Yani: 53080 - RİZE Tel.: (+90 464) 226 09 68
Tel.: (+90 464) 226 09 70

პასუხის პასუხი

ოღონდ ერთი კითხვა მაინც დარჩა

საქართველოს ხელბურთელთა მე-18 ჩემპიონატის ფინალური სერიის საპასუხო მატჩში „თბილისსა" და „სტუ-თელავს" შორის ინციდენტი რომ მოხდა, გუშინაც გვეწერა. იმასაც ვამბობდით, რომ ეს ამბავი იმით დაიწყო, „თბილისის" პრეზიდენტმა მამუკა მჟავანაძე ხელბურთის ფედერაციას რომ ედავებოდა სტუ-ელი ლევან ბერძენიშვილის თამაშის გამო. განვმარტოთ — ბერძენიშვილი თურქულ „ჩაიკერში" იყო განათხოვრებული იჯარის წესით და ხელშეკრულების გასვლის შემდეგ უფლება ჰქონდა, თავის გუნდს დახმარებოდა. ითქვა, რომ იჯარას ვადა 5 მაისს გაუვიდა, თუმც მჟავანაძე აპროტესტებდა, ფედერაციას დოკუმენტი არ გააჩნია, სადაც ბერძენიშვილის იჯარიდან გათავისუფლების შესახებ ეწერებოდაო.

ამ ამბით, ცხადია, დავინტერესდით და ფედერაციას ხელბურთელის განთავისუფლების ფურცელის ჩვენება ვთხოვეთ. ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ „ჩაიკერის" ხელმძღვანელობის მიერ გამოგზავნილი ფაქსი გადმოგვცა, საიდანაც ირკვევა, რომ „ჩაიკურში" ბერძენიშვილს იჯარით თამაშის უფლება 20 მაისამდე ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ თურქული გუნდისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა, სტუს თხოვნის საფუძველზე ხელშეკრულება დროზე ადრე, 5 მაისს გაწყდა და ბერძენიშვილს სტუ-ს შემადგენლობაში თამაშის უფლება მიეცა. ამ დოკუმენტში ყველაფერი ნათლადაა ასახული, თუმც ერთი კითხვა მაინც რჩება: თუ ეს დოკუმენტი აქვთ, რა საჭირო იყო მისი გასაიდუმლოება? ფაქტია, რომ ამით ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ის კი ცალსახაა, რომ გამართლება არ აქვს იმ ფაქტს, რაც ფინალისას დარბაზში მოხდა. ხელბურთელებმა შეურაცხყოფა მარტო საკუთარ თავს არ მიაყენეს...

28 მაისს ხელბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და ამ ფაქტზეც იმსჯელებს.

ლექსო მაისურაძე

ძიუდო

გალა-ძიუდო 2007

გუშინ მუსკომედიის თეატრში 2007 წლის საუკეთესო ძიუდოისტები დაჯილდოვეს. ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ:

წლის აღმოჩენა: **ლომერ ჟორჟოლიანი**
საუკეთესო ვეტერანი: **ნესტორ ხერგიანი**
საუკეთესო მსაჯი: **მერაბ ლოსაურაშვილი**
საუკეთესო პირადი მწვრთნელი: **გურამ მოდებაძე**
საუკეთესო რეგიონში მომუშავე მწვრთნელი: **ანზორ თენაძე**
საუკეთესო მწვრთნელი: **შოთა ხაბარელი**
წარმატებული რეგიონული ფედერაცია: **ქვემო ქართლის ფედერაცია**
ყველაზე ტექნიკური ძიუდოისტი: **ზაზა კედელაშვილი**
ძიუდოს განვითარებისთვის შეტანილი წვლილისთვის: **შოთა ჩოჩიშვილი**
წლის საუკეთესო ძიუდოისტი: **ირაკლი ცირეკიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეჟანია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge